2015



შემდგენელი
ნოდარ შოშიტაშვილი (ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი)

ტექსტის ავტორები:
აივინდ ფალკი (ნორვეგიის ხალხური რეწვის ინსტიტუტის დირექტორი)
ჰანს მარამსრუდი (დურგალ-რესტავრატორი)
ნოდარ შოშიტაშვილი (ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი)
ვახტანგ ხოშტარია (მთავარი რესტავრატორ-კონსერვატორი)
ირაკლი ბაქრაძე (რესტავრატორ-კონსერვატორი)
რომან გორდიაშვილი (დურგალი)

გამოცემაზე მუშაობდნენ:
დავით ქაჯაია (პროექტის კოორდინატორი)
ნათია ხულუზაური (ხილოვნებათმცოდნე)

რედაქტორი
ელენე სალარიძე

ჩანახატები
ვახტანგ ხოშტარია

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირაკლი ხუციშვილი
ირაკლი დევდარიანი

© [illegible]
გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ, 2015

© გამოცემულია ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის (Riksantikvaren) მხარდაჭერით, 2015

ხითხუროობის ტრადიციული ხერხები და საგუზეუგო რესტავრაცია-კონსერვაციის პრაქტიკა

(მეორე შევსებული გამოცემა)

თბილისი
2015

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი, რომელიც მომზადდა საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატს (Riksantikvaren) შორის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, წარმოადგენს 2012 წელს ამავე სახელწოდებით გამოცემული სახელმღვანელოს მეორე, განახლებულ რედაქციას. თავდაპირველად, პროექტის განხორციელება დაიწყო ეროვნულ მუზეუმსა და იუნესკოს მიერ, რომელიც დასაწყისიდანვე ფინანსდებოდა ნორვეგიის მთავრობისაგან და რომლის განხორციელებაშიც, ნორვეგიის მხრიდან, განსაკუთრებული წელილი შეიტანა მაიჰაუგენის ღია ცის ქვეშ მუზეუმმა და მისმა შვილობილმა დაწესებულებამ - ნორვეგიის ხალხური რეწვის ინსტიტუტმა.

პირველ გამოცემაში, რომელსაც საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა, განხილულია ქართული ხალხური ხითხუროობის ტრადიციული მეთოდები და ხის ნაგებობათა რესტავრაცია-კონსერვაციის პრინციპები, აგრეთვე მათი პრაქტიკული გამოყენება და ინტეგრაცია ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და ზოგადად, თანამედროვე სამუზეუმო სივრცეში.

ნორვეგიელ პარტნიორებთან ერთად შემდგომი თანამშრომლობის შედეგად გადაწყდა აღნიშნული სახელმძღვანელოს განახლებული სახით გამოცემა. მისი პირველი ნაწილი მოიცავს ნორვეგიელი სპეციალისტების: ნორვეგიის რეწვის ინსტიტუტის დირექტორის, ბატონ აივინდ ფალკისა და დურგალ-რესტავრატორის, ბატონ ჰანს მარამსრუდის ნაშრომს.

წიგნის ეს ნაწილი ეთმობა ხის ნაგებობათა რესტავრაციის მეთოდიკას, პრინციპებსა და ზოგადად, რესტავრაციის ფილოსოფიას. მასში თავმოყრილია ნორვეგიის მუზეუმებში მათი საქმიანობის შედეგად დაგროვილი დიდი პრაქტიკული გამოცდილება და საქართველოში განხორციელებული ექსპედიციების, აგრეთვე გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ქართველ სპეციალისტებთან ერთობლივი მუშაობის ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნები.

ცხადია, შეუძლებელია ხის დამუშავების ხალხური მეთოდების სრულად აღწერა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ეს სახელმძღვანელო კომპეტენტურ პასუხს გასცემს ტრადიციული ხითხუროობის სფეროში დასაქმებული პროფესიონალებისა და დაინტერესებულ პირთა კითხვებს, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკულ-ემპირიული თვალსაზრისით.

ჩვენ გამოვხატავთ მადლიერებას ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის (Riksantikvaren) მიმართ, მათი მხარდაჭერისათვის წინამდებარე წიგნის გამოცემაში.

ხის ნაგებობათა რესტავრირების პრინციპები და პრაქტიკა

აივინდ ფალკი
ჰანს მარამსრუდი

შინაარსი

წინასიტყვაობა
შესავალი

ნაგებობის დაცვა
შესავალი

ავთენტიკურობა
პროცესუალური ავთენტიკურობა
რესტავრაციის ტრადიციული პრინციპები
ფუნქციების გადანაწილება რესტავრირებისას
ოსტატის როლი
საბაზისო ცოდნა
კვალის „ამოკითხვა“
ხელსაწყო-იარაღები
სამშენებლო მასალის ცოდნა
მუშაობის ფორმები
წარსულში დაბრუნება
სიძველის დაცვის პრინციპები, სამომავლო ზრუნვა და ფინანსირების საკითხები

ცოცხალი ხელოსნური ცოდნა და ამ ცოდნის გადაცემის მეთოდიკა
პრაქტიკაში შეძენილი ცოდნა
ხელოსანი ტრადიციული ცოდნით
სპეციალისტი

დოკუმენტატორი
ფოტონუსხები
ტრადიცია შეწყდა?
სასწავლო არეალები
საველე სამუშაოზე
ექსპედიცია
სპეციალისტთა ერთ გუნდად მუშაობა, როგორც მეთოდი
ნაგებობათა ასლის აშენება — კვლევისა და სწავლების არეალი
მუზეუმის როლი

რესტავრაციის პროექტის ანგარიში
ღონისძიებების ანგარიში
ანგარიშისთვის საჭირო ფოტოგრაფირება

ხარჯთაღრიცხვა
ღონისძიების დასკვნითი ანგარიში

ანგარიშის მაგალითები
ხარჯთაღრიცხვის მაგალითი
რესტავრაციის ხართაღრიცხვის საბოლოო ანგარიშის მაგალითი

ბოლოსიტყვაობა

წინასიტყვაობა

ჩვენ მიერ ჩატარებულმა სამუშაომ, რომელიც მოიცავდა ვორქშოფებსა და ტრადიციული ხის ნაგებების რესტავრირების პრაქტიკულ სწავლებას, გვიკარნახა რესტავრირების თემაზე მცირე მოცულობის და მარტივად დაწერილი წიგნის საჭიროება. მოცემული სახელმძღვანელო წარმოადგენს შესავალს მნიშვნელოვან საკითხებში. წიგნს პრაქტიკული ხედვა უდევს საფუძვლად და, შესაბამისად, ზოგადად განიხილავს ისეთ თემასაც, როგორიც რესტავრირების ფილოსოფიაა.

შესავალი

ყოფაში შემორჩენილ ხალხურ ოსტატთა ცოდნაზე

გვიხარია, რომ ვორქშოფებისა და საველე სამუშაოების საშუალებით შევხვდით მთელ რიგ ნიჭიერ ოსტატებს, რომლებიც დღესდღეობით და მომავალშიც იზრუნებენ უნიკალური ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე. კულტურულ მემკვიდრეობაში იგულისხმება როგორც ტრადიციულ ნაგებობათა თვითმყოფადი ფორმა, ასევე ხელოსნობის ცოცხალი ტრადიციები. მნიშვნელოვანია აგრეთვე ტრადიციული ხელოსნობის ცოდნის გადარჩენაზე ზრუნვა. ეს ცოდნა თანდათან დავიწყებას ეძლევა და მის შენარჩუნებაზე თუ არ ვიზრუნებთ, ხალხურ ხის ოსტატებთან ერთად გაქრება. საველე სამუშაოებისას შევხვდით ხის ნაგებობეათა ხალხურ ოსტატებს, რომლებიც უკვე ხანდაზმულნი არიან. ტრადიციული ცოდნის მფლობელი შეიძლება იყოს ოსტატი, რომელმაც ჭერი გაუკეთა ტრადიციულ ქართულ დარბაზს 40 წლის წინ, და მას შემდეგ ზრუნავდა მასზე; ან მაგალითად, ის ოსტატი, რომელმაც ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილების შედეგად შეისწავლა, თევზიფხურა სტილით ხის დამუშავების ტექნიკა. ზემოთ ხსენებული გახლავთ ხალხურ ოსტატთა ცოდნის მაგალითები და მნიშვნელოვანია ვიზრუნოთ, რომ ეს ცოდნა გადავცეთ ოსტატთა ახალ თაობას.

საქართველოში ჩატარებულმა სამუშაოებმა დაგვანახვა ხის ნაგებობათა რესტავრირების პრინციპებისა და პრაქტიკის სახელმძღვანელოს აუცილებლობა. სახელმძღვანელოსი, რომელიც მოიცავდა დარგის სხვადასხვა მნიშვნელოვანი თემის მოკლე მიმოხილვას, ხოლო

აქცენტი გადატანილი იქნებოდა ოსტატის როლსა და მნიშვნელობაზე. შესაბამისად, ჩვენი წიგნის მიზანია გადმოსცეს არა მხოლოდ თეორიული ცოდნა ამ სფეროში, არამედ ასახოს ხის ნაგებობათა აღდგენა-რესტავრირების პრაქტიკული ღონისძიებანი. მიუხედავად იმისა, რომ რესტავრირების მრავალი მაგალითი საქართველოს სინამდვილიდან არის აღებული, ეს სახელმძღვანელო ნებისმიერი ქვეყნისთვის შეიძლება აქტუალური იყოს.

წიგნის მიზანი საქართველოში თითქმის ექვსი წელიწადის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოს ძირითადი არსისა და შედეგების გადმოცემაა. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მადლობა გვსურს გადავუხადოთ ნიჭიერ თარჯიმანს, პროექტის ხელმძღვანელსა და ჩვენს მეგობარს, მანანა თევზაძეს საინტერესო თანამშრომლობისა და სახელმძღვანელოს შექმნაში შეტანილი წვლილისთვის

ასევე გვსურს მადლობა გადავუხადოთ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დირექტორატსა (Riksantikvaren) და UNESCO-ს.

ჰანს მარამსრუდი, აივინდ ფალკი

ქართველ და ნორვეგიელ პარტნიორთა გუნდი

ნაგებობის დაცვა

შესავალი

ნაგებობის დაცვა მოიცავს ყველა იმ საკითხს, რაც უშუალოდ მის მოვლასა და რესტავრირებას ეხება და გულისხმობს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სამუშაოებს.

ცნება „ნაგებობის დაცვა" ნიშნავს, რომ ყოველმხრივ უნდა ვიზრუნოთ კონკრეტული ნაგებობის დასაცავად. შენობა-ნაგებობების რესტავრირებაზე ფიქრსაც სწორედ მსგავსი დამოკიდებულება უნდა ედოს საფუძვლად. სამუშაო უნდა შესრულდეს შენობა-ნაგებობების საჭიროებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, შენობა-ნაგებობის მთლიანი შეფასებისას სხვა ასპექტებიც იძენს აქტუალურობას, რომელთაც უნდა აერთიანებდეს შემდეგი პრინციპი: გადაწყვეტილების გამოტანა ხდებოდეს იმის მიხედვით, თუ რა არის სუკეთესო ამა თუ იმ ნაგებობისთვის. მაგალითად, საქმე შეიძლება გვქონდეს ორ შემთხვევასთან: პრაქტიკული გამოყენება და ისტორიული ღირებულებანი. რესტავრირების პროცესში მნიშვნელოვანია შენობის ისტორიული ღირებულების სათანადოდ შეფასება. ეს ეხება როგორც მთლიან შენობას, ასევე მის ცალკეულ ნაწილს. ისტორიული ღირებულებანი არა მხოლოდ ნაგებობაშია. იგი ასევე მოიცავს გამოყენებული ხე-მასალის, ხელსაწყო-იარაღების, ოსტატთა ნახელავის, ნაფიქრისა და აგების მეთოდების შესახებ ცოდნის ერთობლიობას. ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაცია შენობათა პრაქტიკული დანიშნულებისა და გამოყენების შესახებ.

ბუნებრივია, ამა თუ იმ ნაგებობას ჩვენთვის განსხვავებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული დატვირთვა ექნება იქიდან გამომდინარე, თუ რა პოზიციაგვიკავია. ისტორიკოსისან არქიტექტორისთვის მშენებლობის სტილსა და მიმართულებას ალბათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეთნოლოგისთვის, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია მშენებლობასთან დაკავშირებული ნაფიქრ-ნააზრევი და ნაგებობის დანიშნულებისამებრ გამოყენების საკითხები, ოსტატისთვის კი — ხე-მასალის, ხელსაწყო-იარაღების, სამშენებლო-სადურგლო საქმიანობის ზედმიწევნით ცოდნა. ამ ყველაფრის შესწავლა და გაანალიზება კი მნიშვნელოვანია შემდგომი სამუშაოსთვის.

თავად შენობა-ნაგებობებზე ზრუნვა მნიშვნელოვანია, რადგან თითოეულს თავისი ისტორია აქვს. ყოველი ასეთი ნაგებობა ჩვენი კულტურისა და ისტორიის ნაწილია. უძველესი შენობების შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორიგინალის მაქსიმალურად გაფრთხილება, რადგან ეს ძველი შენობები, ბუნებრივია, შეიძლება იყოს ხელსაწყო-იარაღების, მასალებისა და შესრულების ტექნიკის შესახებ მნიშვნელოვანი ცოდნის წყარო. მსგავსი ტიპის ცოდნა ხშირად ყოფაში აღარ ცოცხლობს. ჩვენ მივაგენით ასეთ მაგალითებს შენობათა რესტავრირების პროცესში, თუმცა, ძველ ნაგებობებზე დაკვირვება და კვალის ამოკითხვა ცოდნას უფრო გააღრმავებს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს ძველი შენობების რესტავრირებისას. შესაბამისად, არ უნდა გამოვცვალოთ ძველ ნაგებობათა ესა თუ ის ნაწილი, ან თუნდაც დეტალი, თუკი ნამდვილად არ არის ამის გადაუდებელი საჭიროება.

ავთენტიკურობა

ავთენტიკურობა გულისხმობს ორიგინალურობას, პირველწყაროს შესაბამისობასა და სანდოობას.

შეიძლება გაჩნდეს შეკითხვა: მხოლოდ ის არის ავთენტიკური, რაც ამა თუ იმ შენობის თავდაპირველი აგების დროიდანაა შემორჩენილი? როგორც წესი, ნაგებობათა უძველესი ნაწილი მიიჩნევა ავთენტიკურად. თუმცა, ოდნავ მოგვიანებით დაშენებული ან რესტავრირებული ნაწილიც ასევე შეიძლება იყოს ავთენტიკური, მაგრამ, ალბათ შედარებით ნაკლები კულტურულ-ისტორიული ღირებულებისა. ამასთან დაკავშირებით, მოსალოდნელია სხვადასხვა ინტერპრეტაცია და განსხვავებული შეხედულება. ასე რომ, ძველი რესტავრაცია ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება ავთენტიკურადაც შეფასდეს.

თუ ავიღებთ შუა საუკუნეებში აგებულ შენობას, ავთენტიკურად ჩაითვლება ის, რაც ორიგინალია. მაგრამ, თუკი რომელიმე ნაწილი 1850 წლამდე (ჩათვლით) მიაშენეს, ანუ თუ სარესტავრაციო სამუშაო მიმდინარეობს 1850 წლამდე (ჩათვლით) შესრულებულ ნაწილზე, იმ დროისთვის გამოყენებული ხის მასალაც ავთენტიკური იქნება.

პროცესუალური ავთენტიკურობა

პროცესუალური ავთენტიკურობა გულისხმობს, რომ განახლებული სამუშაო პროცესი ობიექტის თავდაპირველი აშენების პროცესის იდენტურია. ესე იგი, ოსტატი იყენებს ტრადიციის მიხედვით შერჩეულ ხელსაწყო-იარაღებს, იცნობს უძველეს სამუშაო ტექნიკას, ხოლო ახალი სამუშაო ისევე სრულდება მსგავსი მასალებითვე, როგორც ეს ხდებოდა ორიგინალი შენობის აგებისას. რა თქმა უნდა, ხელსაწყო-იარაღები, ტექნიკა და სამშენებლო მასალები მორგებულია აქტუალურ დროსა და თავდაპირველ ტრადიციაზე. შუა საუკენეების ნაგებობაზე, რომელსაც მინაშენი აქვს 1850 წლიდან, პროცესუალური თვალსაზრისით, სწორი იქნება თუ ორიგინალურ ნაწილზე რესტავრირება შესრულდება შუა საუკუნეების ხელსაწყო-იარაღებითა და მეთოდებით, ხოლო 1850 წლის მინაშენზე — ასევე შესაბამისი პერიოდის ხელსაწყო-იარაღებითა და მეთოდებით.

რესტავრაციის ტრადიციული პრინციპები

არსებობს რესტავრაციის რამდენიმე უძველესი, ტრადიციული პრინციპი, რომლებიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ:

1. უნდა ვიმოქმედოთ შენობა-ნაგებობათა ინტერესებიდან გამომდინარე.
2. სარესტავრაციო სამუშაო უნდა დაიგეგმოს და შესრულდეს თავად ნაგებობის მიხედვით.
3. ძველი მასალებიდან რაც შეიძლება მინიმალური უნდა გამოიცვალოს.
4. ახალი მასალა უნდა იყოს იმავე ტიპისა და ხარისხის, როგორსაც იგი ცვლის.
5. ხელსაწყო-იარაღები უნდა იყოს მსგავსი ტიპისა.
6. სამუშაოთა ფორმები და გადაწყვეტის მეთოდები რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს თავდაპირველთან.
7. თუ შენობა-ნაგებობისთვის უმჯობესად მიიჩნევა, შეიძლება მისი ამა თუ იმ ნაწილის რეკონსტრუქცია. თუმცა, იმ პირობით, რომ ეს რეკონსტრუქცია იწარმოებს ნაგებობაზე არსებული კვალის, ძველი ფოტოების ან წარწერების შესაბამისად.

ფუნქციების გადანაწილება რესტავრირებისას

რესტავრირებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს რამდენიმე ინსტანცია ერთობლივად იღებს. როგორც წესი, შენობა-ნაგებობათა საკოლექციო-საკურატორო დაცვის სამსახურს, მუზეუმის ხელმძღვანელობას, სარესტავრაციო ნაგებობის მფლობელსა და ოსტატ-რესტავრატორებს შორის თანამშრომლობა აუცილებელია. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ კვალიფიციურ და შესაბამის სპეციალისტთა ადეკვატური თანამშრომლობის შემთხვევაში მივიღებთ საუკეთესო შედეგს. საკოლექციო-საკურატორო დაცვის სამსახური ან მუზეუმის ხელმძღვანელობა შეიმუშავებს მოსაზრებებს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს რესტავრირება ტრადიციული პრინციპების გათვალისწინებით. ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით შეიმუშავებენ შესაბამის წესებსა და მეთოდებს აღნიშნული სამუშაოს შემსრულებლებისთვის. ამ წესებისა და მეთოდების შესაბამისად, რესტავრატორს შეუძლია გამოთქვას მოსაზრება ტექნიკურად შესაძლებელ გადაწყვეტილებათა შესახებ, რომლებიც, მისი აზრით, საუკეთესო იქნება რესტავრირების ტრადიციული პრინციპების გათვალისწინებისას. შემსრულებელ-რესტავრატორმა ყველაზე უკეთ იცის, რა სახის ტექნიკური შესაძლებლობები არსებობს ნაგებობის, მისი ელემენტების, მასალების, ხელსაწყო-იარაღებისა და შესრულების ტექნიკის თვალსაზრისით. აუცილებელი იქნება სარესტავრაციო ობიექტებზე არქიტექტორთან თანამშრომლობა. პროფესიულ დონეზე შესრულებული სათანადო დოკუმენტაცია მნიშვნელოვანია როგორც სარესტავრაციო პროექტისთვის, ასევე სამომავლოდ. არქიტექტორს სამუშაოს დაწყებამდე უნდა დაევალოს შესაბამისი პროექტის მომზადება, მუშაობის პროცესში დეტალურად აზომოს, დახაზოს თითოეული დეტალი. ოსტატთან ერთად შეადგინოს გასატარებელ ღონისძიებათა ანგარიში.

ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია საკოლექციო-საკურატორო სამსახურმა და მუზეუმის ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს რესტავრირების გაცილებით მკაცრი წესები და მეთოდები, ვიდრე ამას შემსრულებელ-რესტავრატორი მიიჩნევს. თუმცა, კოლექციების დაცვის სამსახურსა და მუზეუმის ხელმძღვანელობას ბევრი რამ აქვს გასათვალისწინებელი და არა მხოლოდ ნაგებობასთან დაკავშირებით. გამოცდილი ოსტატი, ბუნებრივია, ფიქრობს, სამუშაო შეასრულოს ხარისხიანად, თანაც ისე, რომ დროს გაუძლოს. შესაძლოა, რესტავრატორმა გააუმჯობესოს კიდეც ძველი ნაკეთობა, გამოასწოროს თავის

დროზე დაშვებული ხარვეზები.

მაგრამ თუ მსგავსი საკითხები რესტავრირების ტრადიციულ პრინციპებს ეწინააღმდეგება, მაშინ მნიშვნელოვანია, რომ კოლექციების დაცვის სამსახურმა და მუზეუმის ხელმძღვანელობამ თავიდანვე მკაფიოდ განსაზღვრონ ყველა საკითხი და შემდგომ კი ნება დართონ ოსტატებს (დურგალ-რესტავრატორებს), სამუშაო განახორციელონ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით.

მნიშვნელოვანია, ოსტატმა-რესტავრატორმა იცოდეს, რომ მის მოვალეობაში შედის, თავის დამოკიდებულებათა გამოხატვითა და მოსაზრებებით კონსულტაცია გაუწიოს დამკვეთს შესასრულებელ სამუშაოთა შესახებ, თუკი ეს მოსაზრებები ხელოსნობის ტრადიციულ წესებსა და პრაქტიკას შეესაბამება. ოსტატის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც დამკვეთი კერძო პირია, რომელსაც არ გააჩნია ტრადიციული ცოდნა შესასრულებელი სამუშაოს შესახებ.

ოსტატის როლი

რესტავრირებისას ოსტატის როლი გადამწყვეტია. ოსტატ-რესტავრატორი გარდა იმისა, რომ ასრულებს სარესტავრაციო სამუშაოებს, ამავდროულად, მუშაობის პროცესში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, აკეთებს არჩევანს, თუ როგორ წარმართოს ესა თუ ის პროცესი. სწორ არჩევანს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამუშაოს შესრულებაში. ტრადიციული ხელსაწყო-იარაღების, მათი „კვალის წაკითხვისა“ და სარესტავრაციო მასალის ხარისხის ინტერპრეტირების ცოდნა-არცოდნა განაპირობებს წარმატებასა თუ მარცხს. ისევე როგორც მნიშვნელოვანია, რომ ექიმმა სწორი მედიკამენტი გამოუწეროს პაციენტს, ოსტატიც უნდა ფლობდეს საჭირო ცოდნას, რათა ხარისხიანი რესტავრირებით კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას შეუწყოს ხელი.

ოსტატ-რესტავრატორები მუშაობის პროცესში

საგაზისო ცოდნა

შენობის სრულ აზომვასა და პროექტირებას არქიტექტორი ან ინჟინერი ყველაზე კარგად ოსტატთან თანამშრომლობით შეძლებს. რესტავრაციის სამუშაოები საჭიროებს ხელოსნობის როგორც პრაქტიკულ, ასევე თეორიულ ცოდნას. რესტავრირებისას, სასურველია შეირჩეს კომპეტენტური ოსტატები, რომელთაც გააჩნიათ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა სფეროში. შესაბამისად, პროექტში უნდა ჩაერთოს სხვადასხვა სფეროს კვალიფიციური სპეციალისტები.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ პრაქტიკული ცოდნის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ოსტატ-რესტავრატორის მიერ შენობა-ნაგებობის „წაკითხვა" იმ ინფორმაციის მოსაპოვებლად, რაც სწორი გადაწყვეტილების მისაღებად იქნება საჭირო. ამას კი მხოლოდ გამოცდილი და პროფესიონალი ოსტატ-რესტავრატორი შეძლებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ოსტატ-რესტავრატორი მსგავს

შემთხვევაში ასევე უნდა ფლობდეს კომპიუტერს, იცოდეს ფოტოგადაღება; იცნობდეს არსებული მდგომარეობისა თუ გასატარებელი ღონისძიებების ანგარიშებს; შეეძლოს სამუშაო დროის სწორად დაგეგმვა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა. ასევე მნიშვნელოვანია ჰქონდეს ცოდნა სხვადასხვა სახეობის ხე-მასალის, სხვადასხვა ეპოქის ნაგებობების, უძველესი ხელსაწყო-იარაღებისა და მათი გამოყენების შესახებ. არანაკლებ მნიშვნელოვანია პრაქტიკული გამოცდილება რესტავრაციის მეთოდებისა და მათი განხორციელების, სიძველეთა რესტავრირების პრინციპებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების შესახებ. ასევე აუცილებელია დასკვნითი ანგარიშების შედგენის ცოდნაც.

კვალის „ამოკითხვა“

კვალის ამოკითხვა შენობა-ნაგებობებზე მათი რესტავრირების პროცესში უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია. სწორედ მის მიხედვით წარმოებს სარესტავრაციო სამუშაოები. შენობაზე კვალის „ამოკითხვა“ შესასრულებელ სამუშაოთა შესახებ საჭირო ცოდნის მისაღებად უმნიშვნელოვანესი ნაწილია. კვალის ინტერპრეტირება საჭიროებს დიდ ცოდნასა და გამოცდილებას.

ხელსაწყო-იარაღები





სხვადასხვა ეპოქის ხელსაწყო-იარაღების ყუთები. თითოეულ ყუთში მოთავსებულია სხვადასხვა სახის ხელსაწყო-იარაღი

ოსტატ-რესტავრატორმა კარგად უნდა იცოდეს, რა ტიპის ხელსაწყო-იარაღები გამოიყენებოდა ამა თუ იმ ტიპის ნაგებობაზე სხვადასხვა ეპოქაში.

ოსტატ-რესტავრატორს ხელი უნდა მიუწვდებოდეს სხვადასხვა ეპოქის ხელსაწყო-იარაღებზე. თუმცა, ასევე შეიძლება, თანამშრომლობდეს იმ ოსტატებთან, რომელთაც მეტი ცოდნა და გამოცდილება გააჩნიათ და ამასთანავე ფლობენ უძველეს ხელსაწყო-იარაღებს. ბუნებრივია, ამ მხრივ საკონტაქტო ქსელი ძალიან მნიშვნელოვანია.

ადგილის დათვალიერების, მდგომარეობის ამსახველი ანგარიშის შედგენისა და შენობა-ნაგებობებზე ხელსაწყო-იარაღების კვალის „წაკითხვის" შემდეგ ოსტატს შეუძლია ხელსაწყო-იარაღების ყუთი შეავსოს თითოეული შენობის სარესტავრაციო სამუშაოებისთვის გათვალისწინებული დამატებითი ხელსაწყოებით.

სამშენებლო მასალის ცოდნა



ტყეში, ხე-მასალის შერჩევისას

სამშენებლო მასალის ცოდნა რესტავრირების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ძველ დროში მასალის გამოყენების განსხვავებულ ცოდნასა და გამოცდილებას ფლობდნენ. შეიძლება განსაკუთრებული მოთხოვნებიც არსებობდა ნაგებობის ცალკეული ნაწილის სიმტკიცესა და გამძლეობაზე, რის გამოც აღნიშნული ესა თუ ის ნაწილი ხე-მასალის სხვადასხვა მონაკვეთისგან მზადდებოდა. არჩევდნენ ხის ჯიშებსაც. ხის განსაზღვრული სახეობა გამოიყენებოდა შენობის სხვადასხვა ნაწილისთვის, რომელთაც შესაბამისად სხვადასხვა ფუნქცია გააჩნდათ. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინასწარ შეისწავლონ, თუ რა სახის ხე-მასალა გამოიყენეს თავის დროზე ნაგებობათა სარესტავრაციო ნაწილის ასაშენებლად, რათა აღდგენითი სამუშაოები სწორედ იმავე სახეობის, ხარისხისა და მოცულობის ხე-მასალით შესრულდეს.

ზუსტად იდენტური მასალის პოვნა შეიძლება რთული იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ხის მასალის ზოგიერთი მომწოდებელი სპეციალიზებულია სარესტავრაციო სამუშაოებისთვის ხეტყის შერჩევაზე, ხშირ შემთხვევაში უმჯობესია სასურველი ხე უშუალოდ რესტავრატორის

მითითებით მოიჭრას ტყეში. ამისთვის კი საჭიროა ხეების, ანუ მასალის „წაკითხვის" კომპეტენცია და გამოცდილება. ანუ, ოსტატ-რესტავრატორმა უნდა იცოდეს, რა ნიშნები ეძებოს მოსაჭრელ ხეზე გარეგნულად, რის მიხედვითაც გამოიცნობა, თუ რა საუკეთესო თვისებებს მალავს იგი ქერქის ქვეშ.

რა თქმა უნდა, სასურველი იქნება სარესტავრაციო მასალის იმ რეგიონიდან წამოღება, საიდანაც ნაგებობათა ასაშენებლად თავის დროზე მოიჭრა ხე. მაგრამ დღეს ტყე ბევრგან იმ ადგილას აღარც არის, სადაც შენობის აგებისას იყო, ან სულ სხვა ჯიშის ხეები ხარობს. არადა, საჭიროა ორიგინალის მაქსიმალურად იდენტური ხე-მასალის მიგნება.

მუშაობის ფორმები

მუშაობის ფორმებში იგულისხმება, მაგალითად, ხე-მასალისთვის სასურველი ფორმის მიცემა, ზედაპირის დამუშავება, შეკვრა და დამაგრება. ფორმები შეიძლება ადგილისა და ეპოქის მიხედვით განსხვავდებოდეს. ერთი ასეთი მაგალითია ნაგებობათა ამა თუ იმ ნაწილის ნაჯახით დამუშავება, რაც დროის მიხედვითაც შეიძლება განსხვავდებოდეს და ადგილის მიხედვითაც.

წარსულში დაბრუნება

შენობა-ნაგებობათა წარსულში დაბრუნება გულისხმობს იმას, რომ ამ შენობა-ნეგებობებს სათანადო სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ დაუბრუნდეს თავდაპირველი სახე.

ზოგ შემთხვევაში შეიძლება ნაგებობათა წარსულში დაბრუნებას ახსნა მოვუძებნოთ. ამ იდეის გამოყენება ადვილად შეიძლება იმის დასასაბუთებლად, რომ არ მოსწონთ ძველ შენობაზე თანამედროვე გამოსახულებები, ან როდესაც საქმე გვაქვს ძველებური სტილის ან ტექნიკის გამოყენების სურვილთან. ეს მეთოდი ადეკვატურ გამოსავლად შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ შენობას უკეთესად დაიცავს გარე ფაქტორებისგან ან მანამდე უხარისხოდ ჩატარებული რესტავრაციის ხარვეზებს გაასწორებს. თუმცა, რესტავრაციამდე საჭიროა მშენებლობის ძველი წესების, ტრადიციული გადაწყვეტილე-

ბებისა და ძველი ნაგებობის კარგად შესწავლა.

ნაგებობათა წარსულში დაბრუნების გასამართლებლად საჭიროა ადეკვატური დოკუმენტირება იმის დასადასტურებლად, თუ როგორ გამოიყურებოდა შენობა რესტავრირებამდე და რა ღონისძიებები განხორციელდა ამა თუ იმ ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

სიძველის დაცვის პრინციპები, სამომავლო ზრუნვა და ფინანსირების საკითხები

სარესტავრაციო სამუშაოსთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ყოველთვის აქტუალურია ფინანსირების საკითხი. არსებული სიძველისა და ავთენტიკურობის დაცვის პრინციპების მიხედვით სამუშაოს შესრულება უმეტეს შემთხვევაში ხარჯებს ზრდის. ამის მიზეზია ის, რომ სამუშაო უნდა შესრულდეს ძველი, ტრადიციული ხელსაწყო-იარაღებით, ძველებური მეთოდების მიხედვით. ბუნებრივია, საჭირო ხდება შესაფერისი ხის შერჩევა და მოჭრა. ასეთ პირობებში კი დროც მეტია საჭირო.

ხშირ შემთხვევაში, სპეციალურად შერჩეული და შესაფერისი მასალების გამოყენება სარესტავრაციო ნამუშევრის სიცოცხლეს ბევრად ახანგრძლივებს იმასთან შედარებით, ვიდრე რიგით სამშენებლო მასალებით მოვაჭრესთან შეძენილი სტანდარტული ხე-მასალის გამოყენებისას. მაგალითად, მორების გამოსაცვლელად ძელურ კედლებზე. არაერთი მაგალითი არსებობს, როცა ახალშეცვლილი ხე-მასალა ბევრად ადრე გამოვიდა მწყობრიდან, ვიდრე ძველი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ხე-მასალის ცოდნა.

გადახურვა ნაგებობათა შენარჩუნებაზე ზრუნვის არსებითი ნაწილია. სიძველის დაცვის პრინციპი და სახურავის დამატებით გადახურვაზე მსჯელობა ცალკე თემაა. ხშირ შემთხვევაში სახურავის დამატებით გადახურვის ძველი ტექნიკა ნაკლებად გამძლე გამოდის. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს ის, თუ რამდენად გამძლე გამოდგება ახალი მეთოდით შესრულებული სამუშაო. შეიძლება, მაგალითად, ქვედა სახურავი ახლებული, გამძლე მასალისა იყოს, ხოლო ზედა კი ძველი სტილისა, რომლის ხშირი გამოცვლის საჭიროებაც გათვალისწინებული უნდა იყოს. ისიც შეიძლება, რომ ახალი ქვედა სახურავი არ გამოჩნდეს. ძველი სტილის ზედა სახურავის მოუვლელობის შემთხვევაშიც კი ქვემოთა სახურავი დაი-

ცავს ნაგებობას დაზიანებისგან.

ამდაგვარად არის გადახურული თბილისში, გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ერთ-ერთი ნაგებობა. ძველი სახლი აქ ჯერ თუთიის ფირფიტებითაა გადახურული, ზემოდან კი — ისლით. ასევე საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ როცა ქვედა სახურავი არ სუნთქავს, ნესტმა შეიძლება ჭერის ფიცარი დააზიანოს.

ისლით დახურული სახლი სახურავის რესტავრირების შემდეგ

ამავე დროს მნიშვნელოვანია ტრადიციების დაცვა ძველი გადახურვის მეთოდების გამოყენებისას, რათა ხალხში შემონახული ცოდნა არ დაიკარგოს. მუზეუმების ამოცანაც ეს უნდა იყოს, რადგან სწორედ მუზეუმი არის ის ადგილი, სადაც მუდმივად უამრავი დამთვალიერებელია, ხალხს აინტერესებს ძველი შენობა-ნაგებობანი და ინტერესით ათვალიერებს. ამიტომაც, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება სარესტავრაციოდ დამატებითი თანხების გამოყოფასაც მიენიჭოს პრიორიტეტი.

ზოგიერთ შენობაზე გადახურვის მხოლოდ ტრადიციული მეთოდი

იმუშავებს. ასეთ დროს მნიშვნელოვანია გადახურვის მეთოდის საფუძვლიანი შესწავლა, კონსულტაციები რაც შეიძლება მეტ გამოცდილ სპეციალისტთან, რომლებიც მშენებლობის ტრადიციულ წესებს ფლობენ. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ გვაქვს რესტავრირებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. დარბაზული ტიპის სახლები გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ამის კარგი მაგალითია.

დარბაზული ტიპის ნაგებობა. გიორგიწმინდა, კახეთი

ცოცხალი ხელოსნური ცოდნა და ამ ცოდნის გადაცემის მეთოდიკა

ნორვეგიის ხალხური რეწვის ინსტიტუტი 1987 წელს შეიქმნა. იგი აწარმოებს სხვადასხვა ტიპის ტრადიციული ხელოსნური ცოდნის შესწავლას, დაცვასა და გადაცემას. ამ თვალსაზრისით 500-ზე მეტი პროექტი შემუშავდა. მათი უმეტესობა განხორციელდა ნორვეგიაში, თუმცა სხვა ქვეყნებშიც გვიმუშავია, მაგალითად, ჩეხეთში, ლატვიაში, შოტლანდიაში, ბულგარეთში, საქართველოში, ისლანდიასა და სკანდინავიის სხვა ქვეყნებში. პროექტებისთვის შევიმუშავეთ ტრადი-

ციული ხელოსნური ცოდნის გადაცემის მეთოდი, რომელსაც ქვემოთ დაწვრილებით აღვწერთ.

პრაქტიკაში შეძენილი ცოდნა

ცოდნის თეორიული ნაწილის გაცნობა შესაძლებელია და აუცილებელი, თუმცა არსებობს მეორე ნაწილი, რომელსაც პრაქტიკაში შეძენილი, ანუ პრაქტიკული ცოდნა ეწოდება. ცნებას — პრაქტიკაში შეძენილი ცოდნა — ვიყენებთ, რათა აღვწეროთ ხელოსნური ცოდნის გადაცემის საუკეთესო გზა. იგი წარმოებს პრაქტიკულ სიტუაციაში, როდესაც გამოცდილი ოსტატ-ხელოსანი თავის ცოდნას გადასცემს სხვას.

რადგანაც ემპირიული ცოდნა პრაქტიკულ დაკვირვებას მოიცავს, შესაბამისად, მისი გაზიარება-გადაცემა უმჯობესია უშუალოდ სამუშაო ადგილზე.

ცოდნის შეძენა თავდაპირველად იწყება ოსტატ-ხელოსნის მუშაობაზე დაკვირვებით, ხოლო შემდგომ იმავე ქმედების თავადვე შესრულებით. კარგად რომ გაიმეორო გამოცდილი ოსტატის თითოეული მოძრაობა და აითვისო სამუშაოს შესრულების სტილი, ამისთვის დრო და გამოცდილებაა საჭირო. ხელოსნის დაოსტატებისთვის ასევე საჭიროა, მიეცეს მას შესაძლებლობა გაიღრმაოს ცოდნა გამოცდილ სპეციალისტებთან, რომლებიც ხელოსნობის ტრადიციულ მეთოდებს ფლობენ. არანაკლებ მნიშვნელოვანია, ხელოსანი იყოს თავისი საქმის მაღალ დონეზე შემსრულებელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპეტენციის მაღალი დონე იმ შემთხვევაში, როდესაც ხელოსანი რთულ დავალებებს ასრულებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში. ასეთ დროს იგი შეიძლება ნამდვილად დიდი გამოცდის წინაშე აღმოჩნდეს: მოუწიოს ხელსაწყო-იარაღის კვალის „წაკითხვამ“ და წინა თაობების ოსტატ-ხელოსანთა ნახელავის „გაშიფვრამ“. იგი უნდა მიხვდეს, თუ რა სახის ხელსაწყო-იარაღია გამოყენებული? როგორ არის გამოყენებული? შეიძლება საჭირო გახდეს გამოყენებული მასალის ტიპის, ხარისხისა და გამძლეობის ამოცნობა. ეს მხოლოდ ნიჭიერ და ალღოიან ხელოსანს შეუძლია იქიდან გამომდინარე, რომ ამგვარი ცოდნა უნიკალურია, რადგანაც იგი მიიღება ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილების შედეგად. შესაბამისად, ამგვარ გამოცდილ ოსტატს თავის მხრივ შეუძლია საკუთარი გამოცდილებით მოპოვებული

მნიშვნელოვანი ინფორმაციითა და ცოდნით გაამდიდროს ეთნოლოგიის, რესტავრაცია-კონსერვაციისა თუ არქიტექტურის სფეროები.

ტრადიციული მეთოდებით მომუშავე ოსტატ-ხელოსანი, რომელიც თავის გამოცდილებას გადასცემს სპეციალისტს, ასევე ფოტოდოკუმენტალისტი, რომელიც მათ სურათს უღებს

ხელოსანი ტრადიციული ცოდნით

ტრადიციული ცოდნის გადაცემისთვის საუკეთესო სიტუაციაა ერთი ერთზე, ანუ როდესაც ოსტატ-ხელოსანი თავის გამოცდილებას გადასცემს ერთ შეგირდს. ნორვეგიის ხალხური რეწვის ინსტიტუტის პროექტებში, გვქონია ისეთი შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ სფეროში გამოცდილი სპეციალისტის მოძიება გვსურდა და აღმოჩნდება, რომ ასეთი მხოლოდ ერთია. მისი ცოცხალი ცოდნის დაუფლება თეორიულად ძნელია, როგორ გასაგებ ენაზეც უნდა იყოს დაწერილი, რადგან ძველი შენობა-ნაგებობის აღდგენა-რესტავრირებისას არაერთ დეტალზე მუშაობა ხშირად ძალიან რთული და მასშტაბური ხასიათისაა. მაგალითად, ქართულ დარბაზულ საცხოვრებლებზე გადახურვის ხერხების ფლობა მოითხოვს ფართო ცოდნას კონსტრუქციის, გამძლეობის, თიხის ხარისხის, მიწის, ქვის, ხე-მასალის და ბოტანიკის შესახებაც კი. განსხვავება რომელიმე მეთოდის შესახებ თეორიულ (ანუ რაც წაგვიკითხავს) და პრაქტიკულ, ტრადიციულ ცოდნას შორის

უზარმაზარია. საკარაუდოდ, სწორად არჩეულ მეთოდზეა დამოკიდებული, ზემოთ აღნიშნული დარბაზის გადახურვის ხარისხი, თუნდაც ჩამოვა თუ არა დარბაზში წყალი ატმოსფერული ნალექების შედეგად. ამისათვის, ბუნებრივია, საჭიროა ტრადიციული ცოდნის მქონე ხელოსნის მოძიება. ჯერ ერთი, ეს აუცილებელია კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით. მეორეც, ფინანსური მოსაზრებით, რესტავრირებისას გონივრულია ,ავირჩიოთ წინაპართა მიერ გამოცდილი ის მეთოდი, რომლის საიმედოობაშიც დარწმუნებული ვართ. ბუნებრივია, არასწორი გათვლები ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. მაგალითად, მოგვიწევს ჭერის გამოცვლა ერთი ან ორი წლის შემდეგ, თუკი არასწორად შერჩეულმა მეთოდმა არ გაამართლა.

ზოგჯერ ისეც ხდება, თანამშრომლობა გვიწევს ტრადიციული ცოდნის მქონე რამდენიმე ოსტატ-ხელოსანთან. შეიძლება პროექტის დასაწყისში ერთი ასეთი ხელოსანი გვყავდეს ჩართული, მაგრამ თანდათან სხვაც გამოჩნდეს. სოფელში, სადაც ასეთი ოსტატი ცხოვრობს, ბუნებრივია ტრადიციული შენობა-ნაგებობების რესტავრირების პროექტზე აუცილებლად ისაუბრებენ, ან ადგილობრივ გაზეთში დაიწერება, ან ვინმე გაიხსენებს რომელიმე გამოცდილ ოსტატს: „ჰო, მართლა, ის კაცი, ქუჩის ბოლოში რომ ცხოვრობს, მანაც ხომ იცის უძველესი მეთოდები. გამახსენდა, ის არ აშენებდა დარბაზს? ის ხომ თევზიფხურა ტექნიკითაც ამუშავებდა ხეს! ის არ ახლდა პაპაშენს, ხის მასალა რომ წაიღო?“

ამგვარად, რესტავრირების პროცესში შეიძლება გამოჩნდნენ ტრადიციული ცოდნის მქონე ხელოსნები, რომელთა შესახებ პროექტის დასაწყისში არაფერი იცოდნენ. და რადგანაც მსგავს პროექტებში სწორედ ტრადიციული ცოდნის მქონე ოსტატ-ხელოსანთა ჩართვა აუცილებელია, კარგი იქნება ამ საკითხის გარშემო ერთგვარი სარეკლამო მუშაობა. ვიმეორებთ, მსგავს პროექტებში ტრადიციული ცოდნის მქონე ოსტატ-ხელოსანთა ჩართვა უმნიშვნელოვანესია.

გამოცდილებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ტრადიციული ცოდნის მქონე ოსტატ-ხელოსანს სათანადოდ ავუნაზღაუროთ გაწეული სამუშაოსა და დახარჯული დროის საფასური, როდესაც პროექტში ან ვორქშოფში ვიწვევთ. ეს იქნება ნათელი სიგნალი, რითაც დავაინტერესებთ სულ უფრო მეტ სანდო და გამოცდილ ოსტატს. ამ ტიპის მატერიალური ანაზღაურება მით უფრო მნიშვნელოვანია, როცა ოსტატ-ხელოსანი პენსიონერია.

სპეციალისტი

ძველი ოსტატ-ხელოსნის ცოდნა ბუნებრივია, მეტ ყურადღებას საჭიროებს, რადგან ოსტატის გარდაცვალების შემდეგ ეს ცოდნაც დავიწყებას მიეცემა. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ცოდნის გადარჩენა. გამქრალი ცოდნის აღდგენა-რეკონსტრუირება კი დიდ ხარჯებსა და ასევე დიდ დროს უკავშირდება.

ტრადიციული ცოდნის გადარჩენის ოპტიმალური გზა სხვა ოსტატ-ხელოსნისთვის მისი გადაცემაა პრაქტიკული მუშაობის პროცესში. საჭიროა შეირჩეს ნიჭიერი ხელოსანი, რომელიც შეძლებს ადვილად აითვისოს მშენებლობა-რესტავრირების მივიწყებული მეთოდები ძველი და გამოცდილი ოსტატისგან. ხელოსანს, რომელმაც ძველი ოსტატისგან უნდა ისწავლოს, სპეციალისტს ვუწოდებთ. ზოგჯერ ერთ პროექტში რამდენიმე პირის ჩართვა დასაშვებია, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საუკეთესოა მოდელი ერთი ერთზე, ანუ ერთი სპეციალისტი და ერთი ხელოსანი ტრადიციული ცოდნით. თუ არჩევანი ერთ პროექტში რამდენიმე სპეციალისტის დასაქმებაზე შეჩერდა, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ძველი ხელოსანი ირჩევს ერთ-ერთ მათგანს იმის მიხედვით, ვინც უფრო იყოჩაღებს და ვინც უკეთესად აითვისებს მშენებლობა-რესტავრირების ძველ ხერხებსა და მეთოდებს.

დოკუმენტატორი

გამოცდილი ოსტატ-ხელოსნისა და სპეციალისტის გარდა პროექტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დოკუმენტატორს, რომელიც ჩატარებულ სამუშაოებს აღნუსხავს. დოკუმენტატორი, როგორც წესი, მთელ სამუშაო პროცესშია ჩართული. დოკუმენტირება შესაძლებელია ვიდეოაპარატურით, ფოტოგრაფირებით, აუდიოჩანაწერით, ესკიზებით ან სხვა სახის მასალით. დოკუმენტირების ადეკვატური ფორმა სხვადასხვა პროექტში სხვადასხვაა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ დოკუმენტატორმა ხელი არ შეუშალოს გამოცდილი ხელოსნისა და სპეციალისტის ურთიერთობას. ნორვეგიის ხელოსანთა მოსამზადებელ სასწავლებელში ვამბობთ ხოლმე, დოკუმენტატორი კრაზანასავით არ უნდა დასტრიალებდეს თავს ოსტატსა და შეგირდს.

დოკუმენტური მასალა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ტრადიციული ცოდნის მქონე ოსტატ-ხელოსნის გარდაცვალების შემ-

დეგ. ეს მასალა სპეციალისტთა დაოსტატების ერთგვარ წყაროდაც კი იქცევა ხოლმე. ნორვეგიის ხელოსანთა მოსამზადებელ სასწავლებელში გვაქვს იმის გამოცდილებაც, რომ სპეციალისტები, ხშირად პროექტის დასრულებიდან მრავალი წლის შემდეგ, უბრუნდებიან დოკუმენტურ მასალას, რათა ნახონ ან დააზუსტონ როგორ სრულდებოდა ესა თუ ის სამუშაო. როგორ იდგა ოსტატი მუშაობის პროცესში; როგორ ეკავა სამუშაო იარაღი, ვთქვათ, ნაჯახი. როცა ტრადიციული ცოდნის მქონე ხელოსანი ჩვენ გვერდით აღარ არის, სპეციალისტს ისღა დარჩენია, დოკუმენტური მასალით ისარგებლოს. აღსანიშნავია, რომ ტრადიციულ შენობა-ნაგებობათა აღდგენა-რესტავრირებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უძველესი მეთოდების შესწავლასა და პრაქტიკაში დანერგვას, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება იმ სიძნელეთა დაძლევა, რაც აღნიშნულ საქმეს ახლავს.

ვინ არის დოკუმენტატორი? უმეტეს შემთხვევაში, იგი შეიძლება იყოს ხელოსანი, რომელსაც კონკრეტულ პროექტში დოკუმენტატორის როლი დაეკისრება. ეს გონივრული არჩევანი იქნება, რადგან ხელოსანმა უფრო კარგად იცის, რისი დოკუმენტირებაა საჭირო და რისი არა. როდესაც, მაგალითად, ჩაწერა ვიდეოაპარატურით წარმოებს, დოკუმენტატორს აქცენტი გადააქვს იმ ხერხებსა და მეთოდებზე, რაც მისი აზრით, მნიშვნელოვანია. ხშირად სწორედ ხელოსანს შეუძლია ობიექტურად გადაწყვიტოს, რა არის მნიშვნელოვანი. შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ის, თუ როგორ უჭირავს ან როგორ იყენებს ხელსაწყოს ოსტატი; ან მუშაობისას ხელოსნის დგომის მანერას ჰქონდეს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ვთქვათ, როგორ დგას, როდესაც თევზიფხურა ტექნიკით ამუშავებს ხის მასალას. სამუშაოს არაერთი დეტალი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, ხოლო მათი შერჩევა მხოლოდ ფოტოგრაფს გაუჭირდება. აქედან გამომდინარე, დოკუმენტირება ხშირად ძალიან რთულია, რადგან არსებითი დეტალის დაჭერას გულისხმობს. არსებითი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ის, რაც იმ წუთას, იმ ადგილზეა მნიშვნელოვანი, არამედ ის, რაც შეიძლება ათი წლის შემდეგაც ღირებული იყოს. რა თქმა უნდა, არ ვლაპარაკობთ ლამაზი ფოტოსურათებისა და გასართობი ვიდეოსიუჟეტების შექმნაზე. პირველ ყოვლისა, ტრადიციული ცოდნის მქონე ხელოსნისა და სპეციალისტის ურთიერთთანამშრომლობის საინტერესო დეტალების ასახვა და ამ მხრივ საჭირო ინფორმაციის შენახვაა მნიშვნელოვანი.

ფოტონუსხები

სამუშაო პროცესის ფოტოებით დოკუმენტირებისას ძალიან მნიშვნელოვანია ფოტონუსხების შედგენა, რომელშიც თითოეული ფოტო დაინომრება და კომენტარის თანხლებით განთავსდება. გადაღების დრო, ადგილი და ფოტოს ავტორის ვინაობა მნიშვნელოვანი ინფორმაციაა. ასევე მნიშვნელოვანია, ვინ არის ფოტოზე გამოსახული, რას აკეთებენ, სხვა ასევე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მითითებაც ხომ არ არის აუცილებელი. მსგავსი ინფორმაცია მასალის შემდგომი გამოყენების საშუალებას იძლევა. სპეციალისტის როლი ცენტრალური უნდა იყოს ფოტონუსხების შედგენასა და ფოტოების კომენტირებისას, რადგან სწორედ სპეციალისტს შეუძლია აღწეროს, თუ რა ხდება ამა თუ იმ ფოტოზე. ფოტონუსხები ასევე საჭიროა იმიტომ, რომ წლების შემდეგ აღნიშნული მასალა გამოიყენონ სპეციალისტებმა ან დაინტერესებულმა პირებმა.

„ტრადიცია შეწყდა?"

ხშირად გვსმენია, რომ ტრადიცია შეწყდა, რომ „მსგავსი ტექნიკა ცოცხალი ტრადიციის სახით არ შემოგვრჩა", „ტრადიციული ცოდნის მქონე უკანასკნელი ხელოსანი ცოცხალი აღარ არის". სხვათა შორის, მსგავსი კომენტარები მოვისმინეთ, როდესაც დავიწყეთ თევზიფხურა სტილით მასალის დამუშავების ოსტატის მოძიება, რაც ნაჯახით მუშაობის სპეციალური ტექნიკაა საქართველოში. გვითხრეს, რომ „ამას აღარავინ აკეთებს". თუმცა, ჩვენ ძებნა განვაგრძეთ, რადგან უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ტრადიციული ცოდნის მქონე ხელოსნის პოვნა. ამ ტექნიკის ცოდნა, რა თქმა უნდა, სავალდებულო იქნებოდა ოსტატ-რესტავრატორებისთვის, რომლებიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მუშაობდნენ, რადგან ეს ტექნოლოგია მთელ რიგ ნაგებობებზეა გამოყენებული გიორგი ჩიტაიას სახელობის ღის ცის ქვეშ მუზეუმში.

იმავე ტენდენციას ვხვდებით ნორვეგიაშიც. ტრადიცია შეწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს მანამ, სანამ ყველაფერს გავარკვევთ, შემდგომ კი დავიწყებთ პროექტზე მუშაობას, რომლის ფარგლებშიც შევეცდებით სწორედ აღნიშნული განსაკუთრებული ტექნიკის აღდგენა-რეკონსტრუქციას. და რადგანაც ყავრის მომზადების ტექნიკა

თითქმის დავიწყებულია, ოსტატ-ხელოსნები, ბუნებრივია, იკრიბებიან, რათა გადაწყვიტონ, როგორ დაამზადონ ყავარი. ამის შესახებ შეიძლება ადგილობრივ გაზეთში დაიწეროს ან სულაც განცხადებები განთავსდეს სხვადასხვა სოფელში. და უცებ, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება ორი-სამი მოხუცი მამაკაციც კი მოვიდეს, რომელთა ყურამდეც მიუღწევია ამ ამბავს. ერთი თავს გააქნევს, მეორე ჯოხს მოიშველიებს, მესამე კი დინჯად იტყვის, არა, ასე არ იყოო. ჩემს დიდ ბაბუასთან ერთად ყავარი ასე და დავამზადეო... და მოყვება ყავრის გამოხდის (როგორც საქართველოში ამბობენ) მთელ ძველ ტექნოლოგიას. შემდეგ კი ენთუზიაზმით ჩაერთვებიან მუშაობაში.

ამიტომ, ტრადიციის შეწყვეტას არაფრით არ უნდა შევეგუოთ, არ უნდა დავეჭვდეთ, რომ ძველი ოსტატ-ხელოსნები აღარ გვყავს. ჩვენც ასე მოვიქეცით თევზიფხურა ტექნიკით ხე-მასალის დამუშავებასთან დაკავშირებით საქართველოში. ვარჩიეთ იმ რეგიონში წასვლა, სადაც ვიცოდით, რომ ტრადიცია ძლიერი იყო და იმედი გვქონდა, არაერთ მოხუც ოსტატ-ხელოსანს ვიპოვიდით. ასეც მოხდა.

სასწავლო არეალები

სად შეიძლება მომავალმა ოსტატ-ხელოსანმა საჭირო ცოდნა შეიძინოს საიმისოდ, რომ კარგი რესტავრატორი გახდეს? სარესტავრაციო სამუშაოების სპეციალისტს საკმაოდ სრულფასოვანი და მრავალმხრივი ცოდნა სჭირდება, ცოდნის შეძენას კი — დიდი დრო. სასურველია, ხელოსანს ჰქონდეს სათანადო განათლება, მაგალითად, იყოს კარგი ხურო. ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მას საბაზისო ცოდნა აქვს.

არანაკლებ საჭიროა ცოდნა მასალის, ხელსაწყო-იარაღების, მათი პრაქტიკული გამოყენების, რესტავრირების პრინციპების, კვალის „ამოკითხვისა“ და ტექნიკურ გადაწყვეტილებათა მიღების შესახებ.

მსგავსი ტიპის ცოდნის შეძენა შესაძლებელია სკოლაში, სპეციალიზებულ სასწავლებლებში, კურსებზე და სხვ. მაგრამ ყველაზე სრულყოფილ და სრულფასოვან ცოდნას რესტავრირებაში გამოცდილ ოსტატ-ხელოსანთან მუშაობა იძლევა. ამ შემთხვევაში ნებისმიერი სამუშაო ადგილი საუკეთესო სასწავლო არეალს წარმოადგენს. როგორც აღვნიშნეთ, გამოცდილი ოსტატ-ხელოსნისგან სწავლა ერთი ერთზე სიტუაციაში, ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, ოპტიმალური ვარიანტია.

საველე სამუშაოზე

რადგანაც ხშირად საჭირო ხდება ტრადიციულ რეგიონში შემორჩენილი ხის დამუშავებისა და ძველი შენობა-ნაგებობების რესტავრირების გამოცდილი ოსტატის მოძიება, საამისოდ ძალიან მნიშვნელოვანია წინასწარ ჩატარდეს მოსამზადებელი სამუშაოები, რათა ამაო მოგზაურობა არ გამოგვივიდეს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ, მაგალითად, საქართველოში საველე სამუშაოდან მცირე ფრაგმენტს, როდესაც ვეძებდით ხელოსანს ტრადიციული ცოდნით, რომელიც ფლობდა თევზიფხურა სტილით ხის დამუშავების ტექნიკას.

აქვე მოგვაქვს საველე სამუშაოს ანგარიშიდან შერჩეული ერთი ნაწილი, სადაც აღწერილია ტრადიციული ტექნოლოგიები და განსაკუთრებით თევზიფხურა სტილით ხის დამუშავების ტექნიკა

ექსპედიციის წევრები: (მარცხნიდან) ჰანს მარამსრუდი, მანანა თევზაძე, აივინდ ფალკი, ლერი კერესელიძე და ანზორ გოგიაშვილი

ექსპედიცია

მონაწილეები:

საქართველოს მხრიდან: მანანა თევზაძე, ანზორ გოგიაშვილი და ლერი კერესელიძე.

ნორვეგიის მხრიდან: აივინდ ფალკი და ჰანს მარამსრუდი.

ექსპედიციის მიზანი:

ნაჯახით დამუშავების ტექნიკის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ნაჯახით ხდება თევზიფხურა სტილით ხის დამუშავება. გვაინტერესებს ინფორმაცია მუშაობის დროს გამოყენებულ ნაჯახზე, როგორ გავლესოთ პირები, რა პოზაში ვიდგეთ ჭრის დროს, როგორ დავიჭიროთ ნაჯახი, როგორია ამ ნაჯახის ტარის ფორმა, რა სიგრძისაა. აღნიშნული ტექნიკა ტრადიციას დღემდე თუ შემორჩა და ვინმეს თუ შეუძლია პრაქტიკაში მისი გამოყენება.

ნაჯახის დამუშავების ეს ტექნიკა საქართველოში ბევრ ხის ნაგებობაზეა გამოყენებული და, აქედან გამომდინარე, თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმშიც ბევრგან გვხვდება. ამიტომ, მნიშვნელოვანია დოკუმენტაციის შედგენა მოხუცი ოსტატ-ხელოსნების სიცოცხლეშივე.

საველე სამუშაო ქართულმა მხარემ მოაწყო და იმ სოფლებში გავემგზავრეთ, სადაც წინასწარი მონაცემებით, ტრადიციული ცოდნის მქონე ხელოსნები ცხოვრობდნენ.

ოსტატ-ხელოსნებს წინასწარ შეატყობინეს ჩვენ შესახებ, რათა შეხვედრაზე დაგვთანხმებოდნენ.

ყავრის გამოხდის ოსტატი

ხელოსნის დარეგისტრირების მაგალითი (ანგარიშიდან):
სახელი ჟორა კობერიძე
სოფელი ჭრებალო
რაიონი ამბროლაური
რეგიონი რაჭა

თევზიფხურა სტილის ოსტატი ჟორა კობერიძე

გამოცდილი ოსტატი ჟორა კობერიძე მუშაობისას იყენებს ჩვეულებრივი ზომის ქართულ ნაჯახს, რომლის ტარის სიგრძე 64 სანტიმეტრია. იგი ამბობს, რომ უფრო დიდ ნაჯახს უფრო გრძელი ტარი დასჭირდება.

ჟორა კობერიძე ფლობს თევზიფხურა სტილით ხის დამუშავების ტექნიკას. მისი თქმით, როცა საწნახელს ამზადებდნენ, ამ ტექნიკას ჯერ კიდევ იყენებდა ზოგიერთი ძველი ოსტატ-ხელოსანი. იცნობს ხელოსნებს, რომლებიც ფლობენ აღნიშნულ ტექნიკას და იქვე წარმოგვიდგენს მას ხე-მასალაზე.

ამ ტექნიკით ხე-მასალას ამუშავებენ როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.

დიდ მორზე დემონსტრირებისთვის საჭიროა ჩვეულებრივზე დიდი ნაჯახი გრძელი ტარით.

ოსტატ ჟორა კობერიძის თქმით, ნაჯახით მუშაობისას ხე-მასალა უკუსვლით გამოითლება ხოლმე, მაგრამ ამ ტექნიკის დემონსტრირებისას ოსტატი მუშაობს წინა მიმართულებითაც. ნაჯახით მუშაობისას ცალი ფეხი მორის ერთ მხარეს უდევს, მეორე კი — მეორე მხარეს.

გაპობის ფორმას dull egg-ს უწოდებს (რაც ნიშნავს წვერში წაკვეთილ კვერცხის ფორმას) წრიულად კიდეების მიმართულებით.

ნაჯახით მუშაობის დროს მანძილი გირაგებს/სამარჯვებს შორის რაც შეიძლება მოკლე უნდა იყოს, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ თითოეულ ჭრილს შორის მანძილი თანაბარი იყოს.

ჟორა კობერიძის ქართული ნაჯახი



ჟორა კობერიძის თევზიფხურა სტილით ხის დამუშავების პროცესი

სპეციალისტთა ერთ გუნდად მუშაობა, როგორც მეთოდი

ძელური ნაგებობა აუდუნარსტოვაში

თეორიებისა და პუბლიკაციების ხარისხის უზრუნველსაყოფად აკადემიაში მათი შეფასება უნდა მოხდეს ექსპერტების მიერ. ასევე, ხალხური ხელოსნობის სფეროშიც არაერთი კომპეტენტური სპეციალისტია, რომელთა აზრიც საყურადღებოა იდეებისა და თეორიების შეფასებისას. ნორვეგიის ხელოსანთა მოსამზადებელი სასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ჩართვა აქტიური ცოდნის გაღრმავებისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად. ეს პრაქტიკამაც დაადასტურა. ხელოსნობის თეორიის გამოცდა კომპეტენტურ სპეციალისტთა გუნდთან ერთად შემსრულებელს დაარწმუნებს, რომ სწორად მუშაობს ან მნიშვნელოვან შესწორებებს მიიღებს. აქედან გამომდინარე, ოსტატ-ხელოსანთა შეკრებებს, ვორქშოფებსა და სპეციალისტთა გუნდის ჩამოყალიბებას, როგორც მეთოდს, ნორვეგიული ხელოსანთა მოსამზადებელი სასწავლებელი უპირატესობას ანიჭებს.

ნაგებობათა ასლის აშენება — კვლევისა და სწავლების არეალი

ნაგებობათა ასლის აშენება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოცდის მნიშვნელოვანი საშუალებაა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აუცილებელია სპეციალისტთა ჩართვა სამშენებლო დეტალების აღდგენისას. ხელოსნობის თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოცდა კომპეტენტურ სპეციალისტთა მიერ ან დაადასტურებს სწორ მიმართულებას, ან რაიმე შესწორებას შეიტანს მასში. ამიტომ, ოსტატ-ხელოსანთა შეკრებებსა და სპეციალისტთა გუნდის ჩამოყალიბებას, როგორც მეთოდს, ნორვეგიის ხელოსანთა მოსამზადებელ სასწავლებელში სულ უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებენ. თეორიული ცოდნა პრაქტიკული გამოცდის გარეშე მხოლოდ თეორიად დარჩება. მივუბრუნდეთ ისევ ნაგებობათა ასლის აშენებას, როგორც ერთგვარ სასწავლო არეალს. ეს ხშირ შემთხვევაში კარგი საშუალებაა პრაქტიკაში მიღებული ცოდნის შემდგომი თაობისთვის გადასაცემად. ამავდროულად კი ასლის აშენება ძველი ხელოსნური ცოდნის გადაცემის მოხერხებული მეთოდია.

ძველ ნაგებობათა რესტავრირების დროს ერთგვარი საშიშროება იქმნება იმისა, რომ აღნიშნული არ გამოიყენონ მხოლოდ თეორიული ცოდნის გამოსაცდელად. ბევრი მაგალითი არსებობს, რომ მსგავსმა მიდგომამ შეიძლება ძალიან უარყოფითად იმოქმედოს ძველ შენობა-ნაგებობაზე. თუნდაც იმით, რომ ხელი შეუწყოს დანახარჯის გაზრდას. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო, ყოველთვის გასათვალისწინებელია ამა თუ იმ შემთხვევაში გვჭირდება თუ არა ასლის აშენების მეთოდის გამოყენება.

ასლის აგებით ხელოსანს უნიკალური შენობა-ნაგებობის მთლიანობის აღქმის საშუალება ეძლევა, იქნება ეს სახლი, გემი თუ სხვა ობიექტი. მასშტაბური საბაზისო ცოდნა აუცილებელია, რადგან იგი დაგვეხმარება მთლიან კონტექსტში დავინახოთ ის ძველი ნაგებობის მცირე ნაწილი, რომელიც უნდა შეიცვალოს ან რესტავრირდეს.

ნაგებობის ასლის აშენება ტრადიციული ხელოსნური ცოდნის განვითარების კარგი საშუალებაა. ტრადიციული კონსტრუქციების, ხელსაწყო-იარაღების გამოყენებისა და ასევე ტრადიციულ მასალებზე მუშაობის მეთოდი ხელს შეუწყობს ცოდნის ამაღლებას. ასლების აშენება იქნება მშვენიერი გზა ხელოსნებისთვის, რომელთაც სურთ დაოსტატდნენ ტრადიციული მშენებლობის კუთხით. ასლების აგებით ასევე ხელი შეეწყობა ხელოსნობის კვლევის სხვადასხვა არეალის გა-

ჩენას, სადაც ოსტატ-ხელოსნები არქეოლოგებთან, არქიტექტორებთან და ეთნოლოგებთან ერთად ჩაატარებენ ექსპერიმენტებს, პრაქტიკაში გამოცდიან თავიანთ თეორიულ ცოდნას.

მუზეუმის როლი

ეთნოგრაფიული მუზეუმი, სოფელ ჯგალიდან (წალენჯიხა) გადმოტანილ მარანთან. ნაგებობის მინის ზედაპირიდან ანევის პროცესი

მუზეუმებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება საჭირო ცოდნის ადმინისტრირებისა და განვითარების თვალსაზრისით იმ ოსტატ-ხელოსნებისადმი, რომელთაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე უნდა იმუშაონ. ოსტატთა გუნდის ცოდნის დონის განვითარებამ ტრადიციულ ხელოსნობაში სამი უმნიშვნელოვანესი შედეგი შეიძლება მოიტანოს:

1. შენობა-ნაგებობათა რესტავრირება პროცესუალური ავთენტიკურობის პრინციპების მიხედვით უნდა წარმოებდეს. ამასთანავე, თითქმის იმავე ხარისხის მასალით, იმავე ხელსაწყო-იარაღებით, იმავე ხელოსნობის ტექნიკით, რაც თავის დროზე იქნებოდა გამოყენებული.

ამასთანავე ოსტატ-რესტავრატორი აღჭურვილი უნდა იყოს საბაზისო ცოდნით. ეს ხელს შეუწყობს ნაგებობისთვის ავთენტიკურობის შენარჩუნებას, ხოლო საზოგადოებისა და მუზეუმის სტუმრებისთვის მისი მიმზიდველობის გაზრდას.

2. ოსტატ-ხელოსნები, რომლებიც ტრადიციული პრინციპების მიხედვით მუშაობენ, თავადაც ერთგვარად იზიდავენ დამთვალიერებელს. მაგალითად, მაიჰაუგენის მუზეუმის გამოცდილებით დავასკვენით, რომ საზოგადოებას უყვარს იმ ოსტატთა ყურება, რომლებიც ტრადიციული ხელსაწყო-იარაღებით და წინაპართა ნაცადი ტექნიკით მუშაობენ. ამიტომ, კარგი იქნება თვით უშუალოდ ოსტატ-ხელოსნებისთვის უცხო ენების კურსების ჩატარებაც, რათა უშუალოდ მათ შეძლონ დამთვალიერებელთა შეკითხვებს უპასუხონ ხელსაწყო-იარაღებზე, მათ კვალზე, ტექნიკაზე, მასალებსა და შენობის დეტალებზე. აღნიშნულ შეკითხვებზე ხომ გამოცდილ ხელოსნებზე უკეთესად ვერავინ უპასუხებს.

3. ოსტატი, რომელსაც პროცესუალური ავთენტიკურობის პრინციპებით მუშაობის საშუალება მიეცემა, დროთა განმავლობაში გახდება დაწესებულების წამყვანი რესურსი, რადგან მისი ცოდნა არა მხოლოდ აუცილებელი იქნება უშუალოდ მუზეუმისთვის, არამედ შესაძლებელია ამ ცოდნის გაქირავება/გაყიდვა. გარდა ამისა, მუზეუმი ტრადიციული ხელოსნობის განვითარებით ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური ნაწილის განვითარებას, როგორც ეს UNESCO-ს 2003 წლის კონვენციით არის გათვალისწინებული. საქართველოსაც ხელი აქვს მოწერილი ამ კონვენციაზე.

რესტავრაციის პროექტის ანგარიში

სარესტავრაციო სამუშაოს სხვადასხვა ეტაპზე საჭიროა სხვადასხვა ტიპის ანგარიშის შედგენა:

1. ღონისძიებების ანგარიში.
2. ხარჯთაღრიცხვა.
3. პრაქტიკული სამუშაოები და ამ სამუშაოთა პირველადი ანგარიშის შედგენა.
4. დასკვნითი ანგარიში.

ღონისძიებების ანგარიში

ამა თუ იმ ღონისძიების ამსახველი ანგარიში შეიძლება ერთი დოკუმენტი იყოს, თუმცა, ასევე შეიძლება ცალკეული სამუშაოს ამსახველი ანგარიშის შედგენა. შეიძლება მომზადდეს და შეივსოს შესაბამისი ანკეტები, ან სულაც გამოვიყენოთ ანგარიშის მარტივი ნიმუში ძირითადი ტერმინებით.

კომბინირებული ანგარიში უნდა შეიცავდეს შენობის მოკლე, დასურათებულ აღწერას. დავიწყებთ შენობა-ნაგებობის საძირკვლიდან და თანდათან აღვწერთ შენობის თითოეული ნაწილის მდგომარეობას. არის თუ არა დაზიანება, რა სახისაა იგი და რა შეიძლება იყოს მისი გამომწვევი მიზეზი, ასევე ჩამოვწერთ გასატარებელ ღონისძიებებს. კარგი იქნება თუ დაზიანების შემთხვევაში წარმოვადგენთ ნაგებობის ზოგად და დეტალების ამსახველ ფოტოებს. ასევე საჭიროა შევიმუშაოთ ტრადიციული და ტექნიკური თვალსაზრისით დასაბუთებული წინადადება სათანადო ზომების შესახებ.

სამუშაო ადგილის დათვალიერების დროს კარგი იქნება რესტავრირებისთვის საჭირო მასალების სიის შედგენა. ჩამონათვალი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ხე-მასალის სახეობის, ხარისხისა და ზომების შესახებ. მსგავსი სიის შედგენა საჭიროა თითოეული დაზიანებისა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.

ანგარიშისთვის საჭირო ფოტოგრაფირება

სასურველია მრავალი ფოტოსურათის გადაღება სამუშაო ადგილის დათვალიერებისას და მუშაობის პროცესში. ამ ფოტოებს ბევრი რამის თქმა და ახსნა შეუძლია. ბევრი ფოტოსურათი დეტალების აღნუსხვის საშუალებას იძლევა, რაც შემდეგ, ანგარიშის შედგენისას გამოგვადგება. სურათები ასევე იძლევა იმავე დეტალებისა და სხვა ასპექტების დამახსოვრების საშუალებას, რაც საბოლოო ანგარიშში უნდა იყოს თავმოყრილი, ხოლო სამუშაო ანგარიშში შეიძლება არც შევიტანოთ.

ციფრული კამერის გამოყენება პრაქტიკულია. არ არის საჭირო ძვირად ღირებული კამერა, მთავარია მკაფიო, ნათელ ფოტოებს იღებდეს. კარგი იქნება გამოვიყენოთ კამერა ფართო ობიექტივითა და განათებით.

სამუშაოს ანგარიშისთვის ფოტოები კომპიუტერში უნდა გადავი-

ტანოთ, სისტემაში მოვიყვანოთ და ფოლდერებში ჩავტვირთოთ სამუშაოების პარალელურად, რაც შეიძლება ხშირად, სასურველია ყოველდღე. ამავდროულად ფოტოსურათებს ტექსტიც უნდა დაერთოს.

ხარჯთაღრიცხა

ხარჯთაღრიცვისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ასპექტები:

1. უნდა შეიცავდეს გასატარებელი ღონისძიებების მოკლე აღწერას

2. უნდა დაკონკრეტდეს საჭირო დრო და საათობრივი ანაზღაურება თითოეულ სამუშაოზე.

3. უნდა დაზუსტდეს საჭირო მასალების რაოდენობა, ზომები და ღირებულება.

4. ცალკე სვეტი უნდა დაეთმოს საბურღ მოწყობილობას ან სტელაჟს (საჭიროების შემთხვევაში).

5. უნდა შეიცავდეს გასატარებელი ღონისძიებების მთლიან ხარჯს.

6. რიგ სარესტავრაციო სამუშაოებზე რთული იქნება ზუსტი ფასის დადგენა. ამიტომ ხარჯთაღრიცხვა, როგორც წესი, შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ფასს მოიცავს. ამ ტიპის სამუშაოზე ზუსტი ფასი თუ უნდა დასახელდეს, ასეთ შემთხვევაში მაქსიმალური ანაზღაურება უნდა ვივარაუდოთ, რათა მხედველობიდან არ გამოგვრჩეს გაუთვალისწინებელი ხარჯები, რაც შეიძლება პროექტის მსვლელობის დროს დაგვჭირდეს.

7. ხარჯთაღრიცხვაში ღონისძიებისთვის განკუთვნილ საჭირო დროს ანგარიშობენ რესტავრირების ადრინდელი სამუშაოების გამოცდილებიდან.

ღონისძიების დასკვნითი ანგარიში

ღონისძიების დასკვნითი ანგარიში აჩვენებს, რა გაკეთდა, როგორ გაკეთდა, როდის გაკეთდა და ვინ შეასრულა ესა თუ ის სამუშაო. ეს ანგარიში დაგვეხმარება გამოცდილებათა თავმოსაყრელად. თუ რამე სამუშაო კარგად არ არის შესრულებული და განსაზღვრული დროის შემდეგ რესტავრირება გახდება საჭირო, შესაძლებელი იქნება ანგარიშის მიხედვით გადამოწმება, რათა აღმოვაჩინოთ შესაძლო შეცდომა, და შევიტანოთ შესაბამისი ცვლილებები ახალ პროექტში.

ანგარიში უნდა იწერებოდეს მთელი სამუშაო პროცესის განმავლობაში. ხოლო ამ პროცესისას სასურველია რაც შეიძლება მეტი ფოტოსურათის გადაღება. ეს ფოტოები უნდა დაერთოს ანგარიშს. უნდა ვეცადოთ, არ დაგვავიწყდეს მუშაობისას საქმიანი ფოტოების გადაღება. შეიძლება ანგარიში დავყოთ სხვადასხვა დაზიანების მიხედვით და ტექსტითა და ფოტოებით დეტალურად აღვწეროთ, რა ზომები გატარდა ამა თუ იმ დაზიანების სარესტავრაციოდ. ღონისძიების ანგარიშში არ უნდა გამოგვრჩეს არც ერთი დეტალი. აქვე ისიც უნდა მივუთითოთ, თუკი სამუშაოს დამთავრების შემდეგ დაასკვნიან, სხვა მეთოდით რომ გვემუშავა, უკეთეს შედეგს მივაღწევდითო.

ანგარიშის მაგალითები

ღონისძიების ანგარიში ღია ცის ქვეშ მუზეუმიდან — სასწრაფოდ მისაღები ზომებით.

არასრული ანგარიში (მხოლოდ სასწრაფოდ მისაღები ზომები, რესტავრაციის არასრული ანგარიში).

საჯალაბო სახლი სოფელ ონტოფოდან (აბაშა) ეთნოგრაფიულ მუზეუმში

ზოგადი შთაბეჭდილება: ნაგებობის შედარებით კარგი მდგომარეობა.

ხის სახეობა: კედელი — მუხა და წაბლი

ნაგებობის გადახურვა: ფიჭვი (რადიალური ჭრილი). ყავრის ადგილობრივი ტრადიციული ფორმა. დაახლოებით 1,50 მეტრი სიგრძის. სავარაუდოდ, სუფთა გულგული. უაღრესად მაღალი ხარისხი, როკები თითქმის არ გააჩნია. ცვალებადი სიგანის, დაახლოებით 4-8 მეტრი. ზემოთ/ქვემოთ მდებარე ფიცრები. როგორც ჩანს, ზემოთ და ქვემოთ ფიცრების ორი ორ-ორი ფენაა:

1. თავდაპირველად ქვედა სახურავი, რომელიც ქვედა და ზედა ფიცრისგან შედგება.
2. შემდეგ რუბეროიდის (ტოლის) ფენა.
3. შემდეგ ზედა სახურავი.

ნორვეგიელი დურგალ-რესტავრატორი ჰანს მარამსრუდი ნაგებობის დიაგნოსტიკის პროცესში

დაზიანებები სოფელ ონტოფოს (აბაშა) საჯალაბო სახლში



სახურავის მდგომარეობა:

აქა-იქ წყალია ჩასული. ქვედა სახურავი საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია. შეინიშნება ნახვრეტები ყავარზე ადმინისტრაციის შენობის მხარეს. ზოგან ყავარიც აკლია.

სხვა მონაცემები:

ადმინისტრაციის შენობისკენ კუთხეში ჭიანჭველები გაჩენილა. ბოძთან, მარჯვნივ, წინა მხარეს საჭექი აკლია.

სასწრაფოდ მისაღები ზომები:

1. ხეების მოშორება შენობის გარშემო. ვეგეტაციის დაბალ სიმაღლეზე შენარჩუნება ზოგადად სახლის ირგვლივ.

2. ყავრის შევსება სადაც აკლია, შენობის ორივე მხარეს.

3. იმ ადგილის სადეზინფექციო „სპრეით" შეწამვლა, სადაც ჭიანჭველებია.

4. ძველი საჭექი სოლის შეცვლა ახლით მარჯვენა ბოძის ქვეშ, შესასვლელთან.

ხარჯთაღრიცხვის მაგალითი

მორდალენ სენდრე. თინი, ტელემარკი.
გადარჩენილი სხვენის რესტავრირების ხარჯთაღრიცხვა

ხარჯთაღრიცხვა ეფუძნება იან მიქაელ სთორნესის მიერ შედგენილ ღონისძიებათა ანგარიშს.

პრაქტიკული მიზეზების გამო ახალ სახურავთან დაკავშირებით შემუშავდა განსხვავებული ღონისძიებანი.

სახურავის კონსტრუქცია ძველი ტიპისაა. მსგავსი გადახურვა ბევრი აღარ გვხვდება. მოჩუქურთმებული ქარსაფარი დაფის მიმაგრების ფორმა ფიცრის ქვედა სახურავზე თავისებურია. იგი ჰგავს შუა საუკუნეების ქარსაფარ დაფას, რომელიც თავის დროზე მარუიში დაუმაგრებიათ სახურავზე და წარმოდგენას გვიქმნის იმ პერიოდის ნამუშევარზე.



ქარსაფარი დაფა ჩახრახნილია ფიცრისგან დამზადებულ ქვედა სახურავზე

არყის ხის ქერქი სახურავზე დაძველებას იწყებს და სავარაუდოდ, მალე ქვიშა და მტვერი ჩააღწევს სხვენში სახურავიდან.

უნდა გამოიცვალოს სიდამპლისგან შეჭმული კორდის კაუჭები.

არყის ხის ქერქის ქვეშ დაზიანება აღწევს ქვედა კიდესთან.

საჭიროა დამპალი ზედა სახურავის მოშორება, მინის ქვემოთა სტელაჟზე ჩატანა, არყის ხის ქერქის მდგომარეობის შემოწმება, რათა გადაწყდეს, გამოიცვალოს თუ არა იგი. გვაქვს ალტერნატივა: ნაგებობა გადაიხუროს ახალი არყის ხის ქერქის 6-7 ფენით მთლიანად, ან დაიდოს ერთი ფენა არყის ხის ქერქი და მემბრანა და შემდეგ ისევ მიწით შეივსოს. ეს ყველაფერი კი ხარჯთაღრიცხვაში უნდა გავითვალისწინოთ. მიწის მოცილების შემდეგ გამოჩნდება, რომელი ხერხი იქნება საჭირო.

მთლიანად არყის ხის ქერქის ახალი სახურავი გაცილებით ძვირი დაჯდება.

ასევე, თუ საჭიროება მოითხოვს, უნდა გამოიცვალოს კორდის კაუჭები და კორდის ძელები კეხის კიდეების გასწვრივ. ზოგიერთი კორდის კაუჭიც უნდა გამოიცვალოს.



კორდის კაუჭები (კაკვები) ნივნივებზეა დამაგრებული. ზოგი მათგანი ცუდ მდგომარეობაშია. არყის ხის ქერქი აღარ არსებობს ქვედა კიდეზე და ფიცრის ქვედა სახურავსაც ხავსი მოსდებია.

აუცილებელია რესტავრაცია-დემონტაჟის მთელი პროცესის დოკუმენტირება.

მიწის ფენის შემდეგ შეიძლება ლარტყის დაგება ამ ფენაშივე, როგორც დღეს გვხვდება. ამ გზით მივიღებთ სახურავს ისეთი ფორმით, როგორიც დღეს გვაქვს, ხოლო სიმაღლე ქარსაფრიდან იგივე დარჩება. ფიცრების ერთი ფენის დამატებით ქარსაფარს სიმაღლე მოემატება.

სახურავის ფიცრის დასამაგრებლად საუკეთესოა გადაჭრილი ლურსმანი, თუმცა, ძნელია შესაფერისი ლურსმნის პოვნა. ჩვეულებრივი ლურსმანი ადვილად ძვრება.

სიდამპლისგან დაზიანებული ძელები სამხრეთის მხარეს, კედელზე პრობლემურია. ეს არის ე.წ. შემომზღუდავი კედელი, რომელსაც ყველაზე მეტად ხვდება ძლიერი წვიმა. ანგარიშში წერია, რომ სტაბილიზირება უნდა მოხდეს ღრეჩოების ამოვსებით, ძელების გამოცვლის გარეშე, რაც ადვილი არ არის. შეიძლება ძელების მიჭედება მეორე მხრიდან, შიდა მხრისა და კუთხის გარეთა მხრის შენარჩუნება. რესტავრაციის პროცესში გამოჩნდება, თუ რომელი ხერხი იქნება აქტუალური.

შესასვლელი კარი ძალიან ძველია. ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისგან ისეა დაზიანებული, რომ გარეთა მხარეს გრძივი ნაწილი აღარ არსებობს. გადასაწყვეტია, ეშველება თუ არა რამე ამ კარს.

ხშირად ზუსტად ვერ ვადგენთ, რა და როგორ უნდა გაკეთდეს. ასე რომ, ზუსტი ხარჯთაღრიცხვის შედგენა არ არის ადვილი. შევეცადეთ საშუალო ფასები გადმოგვეცა.

რაც შეეხება სხვენის გადატანის საკითხს, იგი უნდა შევუთანხმოთ ბიარნე ლოფტჰუსს ჰეიდალსმოში.

რესტავრაციის ხარჯთაღრიცხვა

სახურავი:

სტელაჟი: ტრანსპორტირება, აწყობა, ჩამოტანა და გაქირავება:

ფიცრის სახურავის დემონტაჟი და მიწით შევსება, არყის ხის ქერქის გაუმჯობესება: 48 სთ ნორვეგიული კრონი (კრ) =

სიდამპლისგან დაზიანებული ნაწილების კორექცია, კორდის დამჭერის, კაუჭის გამოცვლა, კორდის დამჭერებისა და კორდის ძელების ტრანსპორტირება: 80 სთ კრ =

დოკუმენტირება. ფოტოფიქსაცია, ჩანაწერები ზომებით: 8 სთ კრ =

თუ საჭიროა ნეოფრენის მემბრანა: დაახლოებით კვადრატული მეტრობით =

არყის ხის ქერხი დასამატებლად: დაახლოებით 100 კგ კრ =

მასალა: კორდის კაუჭი, კორდის დამჭერები და კორდის ძელები: =

მიწის დამატება ტრაქტორის/ექსკავატორის გამოყენებით =

ახალი ხის ლარტყები ფიცრის სახურავისთვის და დაახლოებით 60 კვმ სახურავის ფიცარი სუფთა გულის მერქანი კრ =

ხის ლარტყებისა და ფიცრის სახურავის დაგება: 48 სთ კრ =

მისამაგრებელი მასალა: =

კედლის ძელები:

სიდამპლისგან დაზიანებული ადგილების ამოქოლვა სამხრეთ ფრონტონზე: 40 სთ კრ =

მასალა-საქოლავები: =

დარაბა სამერცხლის წინ მე-2 სართულზე:

ძველი დარაბის დემონტაჟება და ახალი დარაბის დამზადება ძველი დარაბის ზომების მიხედვით: 16 სთ კრ =

ძველი დარაბის რესტავრირება:

ხარჯთაღრიცხვა: ადგილის დათვალიერება და აღწერა: 8 სთ კრ =

ღონისძიების დასკვნითი ანგარიში სათანადო დოკუმენტაციით: 16 სთ კრ =

რესტავრირებასთან დაკავშირებით მგზავრობის ხარჯები: დაახ-ლოებით 500 კმ კრ =

მთლიანად: =

+ 25% დღგ: =

მთლიანი ღირებულება დღგ-თი: =

ათრო, 2011 წლის დეკემბერი

ჰანს მარამსრუდი

სარედაქციო შენიშვნა: ხარჯთაღრიცხვაში შესაბამისი მონაცემები ჩაისმება შესრულებული სამუშაოების მიხედვით

საბოლოო ანგარიშის მაგალითი

საბოლოო ანგარიში გადარჩენილ და აღდგენილ ხორცის შესანახ სამეურნეო სათავსთან დაკავშირებით ფლოტენში, ნურდრე, თინის მუნიციპალიტეტი.

სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დანახული ხორცის შესანახი სამეურნეო სათავსი

სამუშაო შესრულდა მდგომარეობის ამსახველი ანგარიშის საფუძველზე. ანგარიში იან მიქაელ სთორნესმა მოამზადა.

მთავარი სამუშაო მოიცავდა სახურავს, რადგან მისი მასალა 1992 წელს მომზადდა სიგრძეზე, შუაზე გაჭრილი ძელებისაგან და სავალალო მდგომარეობაში იყო.

სიგრძეზე, შუაზე გაჭრილი ძელებისაგან დამზადებულ ზედა სახურავზე და სახურავის ქვედა კიდეზე სიდამპლისგან ასევე ძალიან დაზიანებული იყო მერქნის ცილა.

ზედა სახურავების ახდის შედეგად გამოჩნდა, რომ დაახლოებით 10 სანტიმეტრის გადახერხვით ქვედა კიდეზე სიგრძეზე გაჭრილი ძელებისგან დამზადებული ქვედა და ზედა სახურავი კიდევ მრავალ წელს გაძლებდა. მაგრამ რადგან ნაგებობა არასწორად იყო დახურული, მფლობელს სურდა სხვა ტიპის სახურავი.

სიგრძეზე გაჭრილი ძელებისგან დამზადებული სახურავის დემონტაჟის შედეგად ნივნივები გადაკეთდა ძველი კვალის შესაბამისად.

სიდამპლისგან დაზიანებული სიგრძეზე, შუაზე გაჭრილი ძელებისაგან დამზადებული ზედა სახურავი

სამეურნეო ნაგებობაზე „კეხის ბურჯებია“ ისე, რომ ნივნივები მოთავსებულია ზემოთა კუთხის დაფაზე და გვერდით ზეწრებზე და ერთმანეთთან მიახლოებულია ნახევრად კეხთან ფრონტონების გარეთ. კეხში ნივნივები მიმაგრებულია ერთმანეთთან 2,5-სანტიმეტრიანი ხის კოტათი.

ნივნივები ნახევრად ჩამჯდარია ერთმანეთში და შუაში ჩამაგრებულია ერთი ცალი

2,5-სანტიმეტრიანი კონუსური ფორმის ხის კოტათი

ფრონტონის კეხის შიგნით ნივნივები ერთმანეთის გვერდითაა დამაგრებული და ხის კოტებით ამოვსებული. ეს ჩანს ნივნივას ორივე მხარეს.

ნივნივები ფრონტონების შიგნით ერთმანეთზე გვერდებით, კოტას საშუალებით არის გადაბმული

ორივე მხარეს ნაჯახით გამოთლილი ოთხი ნივნივაა.

ნივნივები სახურავის კიდეებზე მოძველებულია და ნაწილობრივ სიდამპლისგან შეჭმული. საჭირო გახდა ახალი მასალის ჩამატება, ნივნივებს რომ საყრდენი ჰქონოდათ.

სიდამპლითა და კლიმატის ზემოქმედებით გამონვეულ დაზიანებათა გამო ახალი ხის მასალის დამატება გახდა საჭირო ნივნივებისთვის საკმარისი საყრდენის მოსამზადებლად

ფრონტონში ლარტყებისთვის ღარია. ნივნივები ფრონტონში დაამაგრეს ხის კოტათი ტრადიციული წესით. ნახვრეტის გასაკეთებლად გამოყენებულია კონუსური ბურღი.

ნივნივის ფრონტონში ლარტყის ღარისთვის, აგრეთვე ხის კოტას შემდეგ დარჩენილი ნახვრეტი

შეკრული ფრონტონების ზემოთ ადგილი ამოვსებულია, რათა ნივნივები გასწორდეს და სივრცე სამეურნეო სათავსში მჭიდრო იყოს. ფრონტონები გათვლილი იყო როგორც დაწოლილი ფიცრის საფუძველი ნივნივების გასწვრივ.

ნივნივებს შორის ფრონტონებზე მოთავსებულია ფიცარი ფიცრისვე ქვედა სახურავსა და ფრონტონს შორის მანძილის შესავსებად. ეს ძველი მეთოდია და შუაში ფიცრები ზემოთა დაფასთან ერთად თავსდება და ეწოდება „ნამტრო“. ფიცრები ფრონტონებს შორის გამოიყენება.

სახურავის კონსტრუქცია ნივნივებით, ფრონტონების ამოვსებით და შუა ფიცრები კუთხის ზედა ფიცრებზე

დაიგო ფიცრის დაწოლილი ქვედა სახურავი ფიჭვის კიდეებგაუთლელი ფიცრისგან, რომელიც ნაჯახით სიბრტყეზე გაითალა. ერთმანეთს შეუფარდეს გვერდულად და გადაჭრილი ლურსმნით დაამაგრეს.

კიდეებგაუთლელი, ქვედა სახურავის ფიცრები ერთმანეთთან გაათანაბრეს და გადაჭრილი ლურსმნით დაამაგრეს

ახალი ნივნივები და ნაჯახით სიბრტყეზე გამოთლილი, კიდეებგაუთლელი ქვედა სახურავი შიგნიდან

როდესაც ფიცრის ქვედა სახურავი დაიგო, ერთი ფენა არყის ხის ქერქი მთელ ამ სახურავზე და ორი ფენა ქვედა არშიაზე დაიფინა.

გადახურვისას გამოყენებულია დაჭედილი კორდის კაუჭები.

6 დიუმის კორდის დამჭერები და ქარსაფრები ისე გაკეთდა, რომ სულ ქვედა მოთავსებულია ქვემოთა სახურავის ზედა კიდეზე, და ზემოთა ქარსაფარი გაწონასწორებულია კორდის დამჭერის ზედა კიდესთან.

ფრონტონებში ნივნივებიდან მანძილი იყო ქარსაფარ ფიცრებამდე. ნივნივებიდან ქარსაფრამდე გაიხერხა, რომ ადგილი ყოფილიყო მათ-თვის.

ნივნივები სამხრეთ ფრონტონში

სულ ქვედა ქარსაფრის დაბალ კიდეზე რეგირონისთვის დამახასიათებელი პროფილია გამოყენებული.

არყის ხის ქერქის ფენაზე დაფენილია ნეოფრენის ქსოვილი, რომელზედაც არყის ხის ქერქი ქვედა არშიისკენ არის ჩაწეული. ისე, რომ არ ჩანს.

კარგად მოფიქრებულია არყის ხის ქერქის ქვეშ ნეოფრენის ქსოვილის დაფენა, რადგან ეს ქსოვილი პირდაპირ ხეზე არ დევს.

ნეოფრონის ქსოვილი იმის გარანტიაა, რომ სამომავლოდ შენობა ნაკლებად დაზიანდება და შესაბამისად ნაკლები ზრუნვაც საკმარისი იქნება. თან ნეოფრენი არ ჩანს.

კორდის დამჭერები დაიგო ქვედა არშიასა და გვერდებზე. ნეოფრენის ქსოვილზე კი ფიცრები დაიგო (13-25 მმ სისქის და 53-63 მმ სიგანის) ღრმა ლარტყების დამაგრებამდე ფიცრის სახურავისთვის.

შემდეგ სპეციალურად შესაფერისი მიწით შეივსო ლარტყებს შორის ადგილები, რომ შენობასაც სიმძიმე ჰქონოდა და ოთახებიც იზოლირებული ყოფილიყო სამეურნეო სათავსში, რაც შესაძლებელს გახდიდა მის ტრადიციულად ხორცის შესანახად გამოყენებას.

სამეურნეო სათავსის სახურავი არყის ხის ქერქით, კორდის დამჭერით, ქარსაფრით, ნივნივებით, ლარტყებითა და მათზე დაყრილი მინით გადასახურად მზად არის

ფიჭვის ფიცრის სახურავი — 100%-იანი გულის მერქანი, 6 დიუმი სიგანე და 22 მმ სისქის ღარი.

ფიცრები გადაჭრილი ლურსმნით არის დამაგრებული, რადგან ასეთი ლურსმნები ჩვეულებრივი ლურსმანივით ადვილად არ ძვრება.

გარეთა ფიცარი ქარსაფარზეა გადაფარებული.

კეხზე დაგებულია ღრმად მიმართული ფიცარი თითოეულ მხარეს, როგორც კეხის ფიცარი.

ახალი ნივნივები, ფიცრის ქვედა ჭერი, არყის ხის ქერქი, ქარსაფარი დაფა, კორდის დამჭერები, კორდის კაუჭები და ფიცრის სახურავი

შესასვლელი გრძივად, შუაზე გადაჭრილი ძელებითაა დამზადებული. კიბეც გამოიცვალა კარის წინ, რადგან ძველი, 1992 წლისა, დალპა. მოიტანეს ძველი, მცირე მერქნისცილიანი ფიცარი, დაახლოებით 52 სმ სიგანისა (თანდათანობით მზარდი სიგანით). მერქნის ცილა ფისით დამუშავდა, რათა უფრო დიდხანს გაძლოს.

მზა სამეურნეო სათავსი ახალი ქვედა და ზედა სახურავით

მუშაობის პროცესში გადაწყდა, გამოეყენებინათ გამოთლილი ზედაპირი იქ, რაც ორიგინალად ჩაითვლებოდა. აქედან გამომდინარე (ნივნივები, შუა დაფა და ფიცრის ქვედა სახურავი).

ზემოთ კი მრგვალპირიანი ხერხით დახერხილი ზედაპირია, რადგან დღეს ასეა მიღებული.

მფლობელმა მიწით შეავსო.

სამუშაო შეასრულეს **კასპერ ბერთელსენმა და ჰანს მარამსრუდმა**.

ატრო, 2012 წლის იანვარი.

ჰანს მარამსრუდი

ბოლოსიტყვაობა

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მცირე მოცულობის წიგნი ხელს შეუწყობს შენობა-ნაგებობების სარესტავრაციო სამუშაოს სისტემატიზებასა და გამარტივებას. წიგნი რესტავრატორებს ცოდნის გაღრმავებაში დაეხმარება. განსაკუთრებული აქცენტი გადავიტანეთ სხვადასხვა სფეროს სპეციალისტთა შორის თანამშრომლობაზე, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ზოგადად დიდი პოტენციალი იმალება ტრადიციული ცოდნის მქონე ოსტატ-ხელოსნებისა და არქიტექტორ-რესტავრატორთა თანამშრომლობაში. ვიმედოვნებთ, რომ წიგნი თანამედროვე ოსტატ-ხელოსნებს სარესტავრაციო ცოდნის გასაოცარი სამყაროსკენ გაუკვალავს გზას.

ბედნიერი მოგზაურობა წარსულიდან თანამედროვეობაში!

აივინდ ფალკი,
ჰანს მარამსრუდი,

2013

ხითხუროობა ქართულ ეთნოგრაფიაში

ყოფით კულტურაში ხის მასალას მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე.

საქართველოში მოპოვებული არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიული მასალის შესწავლის შედეგად მტკიცდება, რომ ჩვენი წინაპრები საუკეთესოდ ფლობდნენ ხის დამუშავების ტექნიკას, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთში, ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრით დათარიღებულ სამარხში აღმოჩნდა ხის ძელები, რომელთა ზედაპირი დამუშავებული იყო იმავე მეთოდით, როგორითაც უახლესი დროის ყოფითი ნივთები. საუკუნეთა განმავლობაში საქართველოში ყალიბდებოდა ხის დამუშავების კულტურა და იგი გამოიყენებოდა ყოფაცხოვრების ყველა სფეროში.

ეთნოგრაფიული მუზეუმი

გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმში ღია ცის ქვეშ (დაარსებულია 1966 წელს) წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი ხის მოძრავი და უძრავი ძეგლების უნიკალური კოლექცია. მუზეუმი გვაძლევს საშუალებას, შევისწავლოთ ქართული ტრადიციული ხითხუროობა და ავითვისოთ რესტავრაციის მეთოდები ხალხური ხელოსნობის გამოყენებით.

პირველი ნაბიჯები ხის სამყაროში

მერქნის აგებულება

ხის ტრადიციული დამუშავების შესწავლისას, აუცილებელია გავიგოთ, თუ რა აგებულება და თვისებები გააჩნია ხის მასალას.

საქართველოში ტრადიციულად გამოიყენებოდა მრავალი ჯიშის ხის მასალა, მაგალითად – მუხა, კაკალი, თელა, წაბლი, ცაცხვი, უთხოვარი, ნაძვი, ფიჭვი და სხვ.

ყველა ჯიშის მერქანს ინდივიდუალური აგებულება აქვს და ის გამოიყენება სხვადასხვა საქმეში, დანიშნულებისდა მიხედვით.

სამრეწველო ხის მორის განივკვეთზე განირჩევა რამდენიმე ძირითადი შემადგენელი ნაწილი. მაგალითად: ქერქი, კამბიუმი, ნაქურთენი (ხალხში მას ცილასაც ეძახიან), მერქანი.



ხის გეომეტრიული კვეთა

ხის სტრუქტურის აღსანიშნავად, სამი ძირითადი გეომეტრიული კვეთა გამოიყენება: განივი, ტანგენსური და რადიალური.



განივი კვეთა

მორისადმი პერპენდიკულარული სიბრტყე.

ტანგენსური კვეთა

გეომეტრიული სიბრტყე, რომელიც გადის მორის რადიუსის პერ-პენდიკულარულად.

რადიალური კვეთა

გეომეტრიული სიბრტყე, რომელიც ემთხვევა მორის რადიუსს.

მერქანი

მერქანი რთული ბოჭკოვანი აგებულების ორგანული წარმონაქმ-ნია. ხის ჯიშის მიხედვით მერქანი შეიცავს რთული კონსტრუქციის ელემენტებს: სხივებს, ჭურჭლებს, ბოჭკოებს და სხვა. ზოგადად რომ განვიხილოთ, მერქანი გრძივად განლაგებული ბოჭკოვანი მილაკები-სგან შედგება.

ბოჭკოები აგებულია სამი ძირითადი მასალისგან – ცელულოზის, ჰემიცელულოზისა და ლიგნინისგან.



ხის ბოჭკოვანი აგებულება

წლიური რგოლები

ხე მრავალწლიანი მცენარეა. თავისი არსებობის პირველივე წლიდან მას ქერქის ქვეშ წარმოექმნება ახალი ბოჭკოვანი შრე, ანუ წლიური რგოლი. ზონას, სადაც შრე წარმოიქმნება, კამბიუმი ჰქვია. წლიურ რგოლში ბოჭკოები ჩალაგებულია როგორც პატარა მილაკები. საქართველოს კლიმატურ ზონებში, წლიური რგოლის წარმოქმნა იწყება გაზაფხულზე და მთავრდება შემოდგომით. ზოგიერთი ჯიშის ხის მერქნის განივ კვეთზე მკაფიოდ ჩანს წლიური რგოლები. თუ გამადიდებლით დავაკვირდებით მერქნის განივ კვეთას, შევამჩნევთ, რომ წლიურ რგოლში მილაკები გარე კიდეზე უფრო მსხვილია, ხოლო შემდგომ წვრილდება. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ხე გაზაფხულზე იღვიძებს და სითხის მიმოქცევა ბოჭკოებში იზრდება, ხოლო შემოდგომაზე პირიქით, წარმოქმნილი მილაკები წვრილდება, რადგან ხის აქტიურობა მცირდება მინიმუმამდე. ყოველი სეზონის კლიმატური პირობების მიხედვით წლიური რგოლი შეიძლება სხვადასხვა სისქის იყოს. გვალვიან წელიწადს, ბუნებრივ პირობებში წლიური რგოლი ვიწროა, ხოლო წვიმიან სეზონზე – პირიქით. აქედან გამომდინარე, ხის წლიურ რგოლებში ასახულია ინფორმაცია.

დენდროქრონოლოგია – მეცნიერება, რომელიც იკვლევს ხის მერქანში არსებულ ინფორმაციას, რათა დაათარიღოს ესა თუ ის ხის ნაკეთობა.





მერქნის გარე ზონა ანუ ახალგაზრდა წლიური რგოლები ბიოლოგიურად უფრო აქტიურია. მასში მიმდინარეობს ხის წვენის მიმოსვლა და ნივთიერებათა ცვლა. ხოლო მერქნის შიდა წლიური რგოლები შედარებით პასიურ მდგომარეობაშია. იგი გაცილებით მკვრივია და სადურგლო მასალადაც უფრო გამოსადეგი.

ანიზოტროპია

ხის მერქანი არაერთგვაროვანია აგებულებით, იგი ანიზოტროპულია, ანუ გააჩნია განსხვავებული თვისება სხვადასხვა სივრცითი მიმართულებით. იგი მცირდება ან ფართოვდება არაერთგვაროვნად, რადგან ხის ბოჭკოები წვრილი მილაკებია. მერქანს გააჩნია თვისება, შეიწოვოს სითხე ან გასცეს იგი, ანუ ის ჰიგროსკოპულია. ამავე დროს მერქანს შეუძლია გასცეს ან მიიღოს ტენი და შედგეს არათანაბრად.

წყლის შემცველობა მერქანში

ხის ბოჭკოები შეიძლება შეიცავდეს წყალს სხვადასხვა პროცენტული რაოდენობით:

ახალმოჭრილი ხე – 23-25%
ნახევრად მშრალი ხე – 18-22%
მშრალი ხე – 12-17%
ძლიერად გამომშრალი ხე – 7-11%
ხეს მაქსიმუმ 28-30% წყლის მიღება შეუძლია.

აუცილებელია ხელოსანმა იცოდეს, თუ რა ფორმა შეიძლება მიიღოს ხის ნაკეთობამ გამოშრობის ან დატენიანების შემდგომ.

მასალის შერჩევა სტრუქტურის მიხედვით

იმისთვის, რომ სათანადოდ შევარჩიოთ მასალა, საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა მიმართულებით შეიცვლის ხის დეტალი ფორმას ნესტის მიღების ან გაცემის შემთხვევაში.

როგორც წესი, ხის დეტალი გამოშრობის შედეგად ტანგენსური მიმართულებით უფრო მეტს იკლებს ზომაში, ვიდრე რადიალური მიმართულებით.

მაგალითად, ფიჭვის დეტალი ტანგენსური მიმართულებით ზომაში 6%-ით იკლებს, ხოლო რადიალურით – 2%-ით.



დეტალების დეფორმაცია გამოშრობის შემდეგ

ტანგენსური და რადიალური ფიცარი

ტანგენსურ ფიცარს გააჩნია თვისება გაიდრიკოს წლიური რგოლების გარე მიმართულებით, ხოლო რადიალური ფიცარი უფრო ნაკლებად იღუნება.



რადიალური ფიცარი

ტანგენსური ფიცარი

დურგლები უპირატესობას რადიალურ ფიცარს ანიჭებენ.

მორის დაბზარვა

როდესაც მორი შრება და მასში არსებული ტენიანობა კლებულობს, იგი იკლებს მოცულობაშიც. შესაბამისად, წლიური რგოლებიც იკლებენ ზომაში. აქედან გამომდინარე, ხის მორი მცირდება გარშემოწერილობაში, მით უმეტეს, თუ ხე გამოშრა ძალიან მალე.





მორის გარშემო, რადიუსის მიმართულებით, ჩნდება დიდი თუ მცირე ბზარები, რაც ყოველთვის არ არის სასურველი.

არსებობს ხერხი, რათა თავიდან ავიცილოთ მორის გარშემო მრავალი ბზარის წარმოშობა. ამისთვის საჭირო ა ნედლ მორს, პროვოცირების მიზნით, გავუკეთოთ ერთი მხრიდან ნაჭდევი ან ჩაიხერხოს იგი

მთელ სიგრძეზე. ამის შემდეგ, როდესაც მორი დაიწყებს გამოშრობას, ის აუცილებლად გადასკდება მხოლოდ იმ ნაჭდევზე, რომელიც უკვე გავუკეთეთ.

მართალია, ეს ხელოვნური ნაპრალი საკმაოდ დიდად გადაიშლება, მაგრამ მორის სხვა ნაწილი გადარჩება დაბზარვას.

გამოშრობის შემდგომ შეგვიძლია ასეთი მორი დავხერხოთ ან გადაპობილი ბზარი ამოვავსოთ სხვა ხის ნაჭრით.



ხის დამუშავება

ქართულ ხითხუროობაში ისტორიულად არსებობდა ხის დამუშავების მრავალი საშუალება. თუ გვინდა ავითვისოთ ხის დამუშავების ტრადიციული ხერხები და შევისწავლოთ ტექნიკური თავისებურებები, აუცილებელია გავიგოთ, თუ როგორ გამოიყენებოდა ქართული ტრადიციული ხელსაწყო-იარაღები.

ხელსაწყოები:

ქართულ სადურგლო იარაღებში არაერთი ხელსაწყო იქცევს ყურადღებას ორიგინალობითა და პრაქტიკულობით. ასეთებია: ქართული ცული, ქართული ნაჯახი, ხელეჩო, ფეხეჩო, წალდი, დაშნა (ყავრის სახდელი) და სხვ.

სადურგლო იარაღ-ხელსაწყოების განვითარებას ხელს უწყობდა როგორც ხეტყის სიმდიდრე, ისე მელითონეობის უძველესი ტრადიცია. ხელსაწყოების უმრავლესობას პარალელები მოეპოვება არქეოლოგიურ მასალებში (განსაკუთრებით გვხვდება ბრინჯაოს ხანის მონაპოვარშიც), რაც ამ ხელსაწყოთა განვითარების ხანგრძლივ ისტორიაზე მიუთითებს.

ქართული ცული

იგი გვერდხედში უთანაზომო ტრაპეციას წარმოადგენს, ზედხედში კი თანასწორფერდიან სამკუთხედს. გარეგნულად ცული სადა და მოხდენილია.



ტარის დაგება

.. ფორმის გარდა ქართული ცულის თავისებურებას წარმოადგენს ტარის დაგების ორიგინალური ხერხი, რომლის მიხედვითაც ტარი სატარეში მხოლოდ წინა მხრიდან იგება: ტრაპეციის ფორმის ცულის სატარე (ტარის დასაგები ჭრილი) თავში განიერია და თანდათანობით წვრილდება. ხის ტარი, რომელიც თანდათანობით მსხვილდება, სატარეს მთლიანად გაივლის, სანამ მასში მჭიდროდ არ გაიჭედება. ამგვარად, ქართული წესით დაგებულ ცულის ტარში სოლი გამოყენებული არ არის და შესაბამისად, არც მისი ამოვარდნის საშიშროება არსებობს.

ლესვის წესი

საინტერესოა, რომ ქართულ ცულს არ გააჩნია მლესველობის ხაზი (რომელიც იარაღის გალესილ ნაწილს გამოყოფს). ეს არე ყუიდან იწყება და პირის უკიდურეს ხაზამდე დადის.

დანიშნულება

ქართული ცულის ძირითადი დანიშნულებაა ხის მოჭრა, დამორვა, დაპობა, საყანე ადგილებში დიდი ზომის ხეების გადაკაფვა და სხვ.

ქართული ცული ბოლო დრომდე შემოინახა ზემო რაჭასა და ქართლში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ზოლში მთიული ცულისა და ბორჯომ-გუდარეხის ხეობებში მეტიურა ცულის სახით.

მეტიურა ცული

იგი ქართული ცულის სახესხვაობას წარმოადგენს, თუმცა, უფრო გრძელი, ვიწრო და მოხრილი ტანი ახასიათებს. მეტიურას თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ხის მოჭრის გარდა, მორის გამოცხვირვაზეც იხმარება.

გამოცხვირვა მორის ერთ ბოლოში ნახვრეტის ამოჭრას გულისხმობს, რითაც ხის მორს ხარ-კამეჩს დაუბამდნენ და მდინარის ნაპირზე გამოათრევდნენ, შემდეგ კი რცხილის ან თხილის წნელით მოკოჭავდნენ, ტივად შეკრავდნენ და მდინარეზე დააცურებდნენ.



მთიული ცული

მთიული ცული სწორი და შედარებით ფართოა. ასევე, მისთვის დამახასიათებელია ჩადრეკილი შუბლი.

დანიშნულებით მთიული ცული ქართული ცულისგან არ განსხვავდება.



ქართული ნაჯახი

ქართული ნაჯახი ცულის განსხვავებულ, ძალზე საყურადღებო ტიპს წარმოადგენს.

მეცნიერ-ეთნოლოგთა დაკვირვებით, გაუმჯობესებული და დაწინაურებული შინაგანი და გარეგანი მხარეების მიხედვით, ქართული ნაჯახი სამართლიანად ადასტურებს ქართველ ტომებში შემუშავებული ხის ხელობის მაღალ კულტურას.

ქართული ცულისგან ნაჯახს გარეგნულად ქვედა ნაწილი, ე.წ. ფრთა განასხვავებს. ტარის დაგების წესსა და ალესვაში ცულსა და ნაჯახს შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს.

ნაჯახის დანიშნულებას ხის გათლა, პირის მოსწორება შეადგენს. ნაჯახი ხის მოხელის უმთავრეს იარაღს წარმოადგენს. სწორი და განიერი პირი სათლელად მოხერხებულია, წინ წანეული წვერი და მოხრილი პირი აადვილებს ნაჯახით სხვადასხვა ამოსაგობავი და ამოსაღარავი სამუშაოების შესრულებას. საოსტატო ნაჯახი, მეტწილად საშუალო ზომის იყო. ისე, რომ ხის მოხელეს მისი ცალი ხელით ხმარებაც შეძლებოდა. თუმცა, მზადდებოდა დიდი ნაჯახებიც. ნაჯახი ხშირად გამოიყენებოდა მაშინ, როდესაც ცულით ძირითად საქმეს მორჩებოდნენ. თავის მხრივ, ნაჯახით შუა სამუშაოს ასრულებდნენ, ანუ ეჩომდე (სათლელ იარაღამდე) მიჰყავდათ საქმე.

ნაჯახს მნიშვნელოვანი როლი ეკისრა სამშენებლო ხის მასალის დამზადებაში. ზოგჯერ იგი ხერხს ენაცვლებოდა ფიცრის დამზადებაშიც. ნაჯახით გათლილი ფიცარი დახერხილზე უკეთესი და ძვირფასიც იყო, ვინაიდან ნაკლებად სკდებოდა და იდრიკებოდა.

მოხერხებული ოსტატი ხის სწორი ზედაპირის გამოთლას განსაკუთრებული ტექნიკით ახდენდა. აუცილებელი იყო ნაჯახის თანამიმდევრული და მოხერხებული მოქნევა ისე, რომ მისი პირი ჩასულიყო ხეში დაბალი კუთხით და ინერციის ძალით ამოსხლეტილიყო უკან. თან ისე, რომ ხის ზედაპირზე ნასერი კვალი არ დამჩნეულიყო. ამგვარად, ზედაპირი ოდნავ ტალღოვანი რჩება, მაგრამ არა ხიჭვიანი და დასერილი. ანათალის კვალს ზოგჯერ ისე მიაწყობდნენ, რომ ზედაპირზე ე.წ. თევზის ფხის ნახატი გამოდიოდა.

სწორად დამუშავებული ხის ზედაპირის პროფილი

არასწორად დამუშავებული ხის ზედაპირის პროფილი

ქართული ცულისა და ქართული ნაჯახის ძველი წესით დამზადება აუცილებლად გულისხმობს სამუშაო პირში ფოლადის ნაჭრის ჩადუღებას. ასეთი წესით დამზადებული იარაღი ადვილად ილესება, გამძლეა და ამასთან, ფოლადის დაზოგვას უწყობდა ხელს. XX საუკუნის II ნახევრიდან ფოლადის გაიაფებასთან და სამჭედლოების როლის დაცემასთან ერთად, მჭრელი იარაღის დამზადების ეს წესი დაიკარგა. ცულსა და ნაჯახს ერთი მთლიანი ფოლადის ნაჭრისგან კვერავდნენ. ძველი წესით დამზადებული ნაჯახები შუბლზე დამახასიათებელი ბზარებით იცნობა. ასეთი ნიმუშები, როგორც წესი, კარგი ფხიანობითა და დახვეწილი ფორმით გამოირჩევა. იგივე ითქმის იარაღის იმ ნიმუშებზე, რომლებსაც მჭედლის დამღები ამშვენებს.





ასიმეტრიული ნაჯახი

გამოიყენებოდა ურმის ბორბლის გასათლელად.



ეჩო

ეჩო სათლელი იარაღია. ცულისგან განსხვავებით, მისი სამუშაო პირი ტარის პერპენდიკულარულად მდებარეობს. ეჩო იხმარება ჭურ-ჭლის, ავეჯის, ურმის ნაწილების, ყავრისა და მისთანების სათლელად.



ხელეჩო

იგი პატარა ეჩოა, რომელიც ცალი ხელით იხმარება. ხელეჩო სუფთად თლიდა ნაჯახის შემდგომ, სანამ საქმე ამოხვეწამდე მივიდოდა.



სნორპირა ხელეჩო



მრგვალპირა ხელეჩო

ხოწი

პირმოკუმული გალესილი იარაღი, რომელსაც ხის ჭურჭლის ამოსახვეწად, ე. ი. გულის ამოსათლელად ხმარობენ. შედარებით დიდი ხოწები როდინის გულის ამოსაღებად და სახარატო დაზგაზე ჭურჭლის ზედაპირის გასასუფთავებლად გამოიყენება, მცირე ხოწებით კი კოვზის გულები ითლებოდა.



ფეხეჩო

დიდი საორხელო ეჩოა.



თოხეჩო

განსაკუთრებული ფორმის საორხელო ეჩოა, რომელიც გავრცელებულია საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში (აჭარა, სამეგრელო).

ჩქუთი

ე. წ. პირმოხვეული ეჩოა, რომელიც ხის ჭურჭლის დამზადეისას ამოსაგულად გამოიყენება.



ხერხი

ხერხის რამდენიმე სახეობა გამოიყენებოდა: ხელის ხერხი შედარებით პატარაა, პირი წვერიდან ბოლოსკენ ფართოვდება და ყუნწით მაგრდება ხის ტარზე.



სისო ხერხის ტანი სწორია; ბოლოებში ორი ყუნწით მაგრდება საგანგებო ჩარჩოზე და თანაბარი, საშუალო ზომის კბილები აქვს.



ზეზეური ხერხი დიდი იყო, რომლის მთავარ დანიშნულებას მორებ-
ის საფიცრედ დახერხვა წარმოადგენდა.

საორხელო დანა (შალაშინი)

იგი ფართოდ იყო გავრცელებული. საორხელო დანა ორი ტიპისაა, პირველი დიდია და სწორი პირი აქვს, მეორე – შედარებით პატარაა მორკალული პირით. სწორი საორხელო დანა იხმარებოდა სოლებ-ის სათლელად, ხის გასაქერქად, ეჩოს მიერ გათლილი ზედაპირის გასასუფთავებლად და ა.შ. მოხრილი საორხელო დანა მეჭურჭლის იარაღს წარმოადგენდა და ასევე ხელეჩოს შემდეგ იხმარებოდა.





შალაფი (ბურღი)

იგი სხვადასხვა ზომისა იყო და იხ-მარებოდა ხელის ფაბრიკული ბურღების შემოღებამდე. ამჟამად იშვიათობას წარ-მოადგენს.

წალდი

იგი არ წარმოადგენს დურგლის იარაღს, თუმცა ფართოდ გამოიყენებოდა ღობის სახრისა თუ სარის მოსაჭრელად, მაღნარი ვენახისა და ხის გასხვლისას, ჯაგნარის გაკაფვისას.

წალდის მთავარ თავისებურებას წარმოადგენს ე. წ. ნიკარტი (ნისკარტი), რომელსაც რამდენიმე ფუნქცია აკისრია: ნიკარტი ჯაგნარის გაკაფვისას პირველი ხვდება ნიადაგს და ამრიგად, წალდის პირს დაბლაგვებისგან იცავს. ნიკარტით მოსაკვეთ ფესვებსა თუ რტოებს იწვდენენ, და ბოლოს მისივე საშუალებით ადვილად ჭრიან მას.

აღსანიშნავია, რომ წალდს ტარი ეგება ქართული ცულისა და ქართული ნაჯახის ანალოგიურად, სატარეში მხოლოდ წინიდან.

წალდუნა

იგივე სასხლავი ანუ ხელწალდა. წალდისგან განსხვავებით წალდუნა ტარზე სატარით კი არა, გრძელი, კუთხედი ყუნწით მაგრდება.



ხის ჯიშის შერჩევა

ხალხური გამოცდილებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სათანადო ხის ჯიშის შერჩევას. არსებობდა სხვადასხვა წესი იმის მიხედვით, თუ რა საჭიროებისთვის იყო გათვალისწინებული ხის მასალა.

მოხელე ყურადღებას აქცევდა ხის ანატომიას, მისთვის საინტერესო იყო მერქნის სახეობა, ხის სისწორე, წლოვანება. შეირჩეოდა ხე, რომელიც ვარგისი იყო ამა თუ იმ საჭიროებისთვის.

მასალა საყოფაცხოვრებო ნივთებისთვის

გობისთვის არჩევდნენ ცაცხვს ან თელას, რადგან მისგან დამზადებული ჭურჭელი არ სკდება. ქაფქირის, კოვზის, ციცხვისთვის პანტას ან ნეკერჩხალს შეარჩევდნენ, რადგან კარგად ითლება და გემოს არ აძლევს. სადღვებლებისთვის საუკეთესოდ მიიჩნევა ვერხვი, რომელიც ღრუ ხეა; სახვნელის ქუსლისთვის იფანს ხმარობდნენ, რადგან მიწას არ იდებს; საფუტკრე გეჯებისთვის არჩევდნენ ცაცხვს, მურყანს, რადგან თბილი ხეებია ფუტკრისთვის; უთხოვარისგან ამზადებდენენ ცელის ტარებს.

მასალა სახმელეთო ტრანსპორტისთვის

ქართული სახმელეთო ტრანსპორტის ნაწილები სხვადასხვა ხისგან მზადდებოდა: მორგვი თელისა და იფნისგან ითლებოდა; ურმის ღერძად კუნელს ხმარობდნენ და არა მუხას, რადგან მუხა მალე ხურდება და ცეცხლი უჩნდება. უთხოვარისგან ამზადებდნენ ურმის ღერძებსა და რანდებს.

სახლის საშენი მასალა

ქართულ ხალხურ ხით ხუროთმოძღვრებაში საშენ მასალად გამოიყენებოდა თვისებებით ძვირფასი და ამავე დროს სიმაგრე-გამძლეობით გამორჩეული მუხა და წაბლი. ასევე დასამუშავებლად უფრო ადვილი თელა, ვერხვი, ცაცხვი. მაღალმთიან სარტყელში მათ ენაცვლებოდა წიწვოვანი ხეები: ფიჭვი, ნაძვი, ზოგჯერ სოჭიც. წნული ტექნიკის დროს გამოიყენებოდა თხილი, შინდი, შინდანწლა და განსაკუთრებით იელი ანუ კავკასიური როდოდენდრონი.

ხის ჭრისა და დამუშავების ხალხური წესები

სამასალე ხეს ჭია რომ არ გასჩენოდა, ყურადღებას ამახვილებდნენ ახალი მთვარისა და ჭრის პერიოდის დამთხვევაზე. ხის მოჭრა არ შეიძლებოდა ახალ მთვარეზე, რადგან მისგან დამზადებული ნივთი, ჭურჭელი, სახლის კედლები ან სხვა კონსტრუქციული დეტალები ფუტუროვდება, ჭიანდება. ამგვარი ფაქტი და მიდგომა საქართველოს ყველა კუთხეშია დადასტურებული.

მას შემდეგ, რაც ტყეში ხეს შეიგულებდნენ, იწყებოდა ხის მოჭრა. საქართველოში ოდითგანვე გავრცელებული წესი იყო: გაზაფხულზე, როცა ხეში წყალი დგება, ხეს არ ჭრიდდნენ. ამ დროს ხე ზრდის პროცესშია, მთელი საზრდო ტოტებში მიდის და მისი ტანი ფუყეა. სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი. ისეთი თვეებია, როცა ხე მაგარია, შემშრალია და ხის მოჭრა სასურველია. ხის მოჭრა ხალხური დაკვირვებით, შეიძლება მაშინ, როცა ხე მოსულია, დაპურებულია.

ხალხი შერჩეულ-შეგულებულ ხეს ქართული ცულით ჭრიდა. ხე ისე უნდა მოეჭრათ, რომ მისი წვერი თავქვისკენ, დაღმართისკენ მიქცეულიყო, რათა თავისივე სიმძიმით დაეცურებინათ. მოჭრილ ხეს ადგილზევე გაროკნიდნენ, გაკაფავდნენ და კვალში ანუ ღარში დააცურებდნენ; ხეს კეტებით გზის პირზე გამოიტანდნენ. ადგილზე გააცლიდნენ ქერქს, რადგან ქერქიანმა ხემ ჭიის გაჩენა იცის.

ხის დამუშავება ხალხური ანტისეპტიკური საშუალებებით

ხის ფისით ხდებოდა შენობათა ხის საძირკვლის ძელებისა და მიწაში ჩასმული ბოძების დამუშავება. ეს პროცესი რამდენჯერმე მეორდებოდა, რის შედეგადაც ხის კონსტრუქცია ფისით იჟღინთებოდა.

უმარტივესი ანსტისეპტიკური ხერხია, აგრეთვე, ხის იმ ელემენტებისა და ნაწილების ზედაპირის მსუბუქი გამოწვა, რომელიც მიწაში უნდა ჩაიდგას.

იმ ტიპის სახლში, სადაც დანთებული იყო შუაცეცხლი, ყოველდღიურად ამოსული კვამლი ბუნებრივად ახდენდა ხის კონსერვაციას, რადგან შენობის კონსტრუქცია მშრალად ინახებოდა, ხოლო კვამლში არსებული კუპრი პოხავდა ხეს და იცავდა მწერებისგან.

ხალხური ხუროთმოძღვრება

ხალხური ხუროთმოძღვრების მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან ნიმუშებს შორის ფართოდ გავრცელებული ნაგებობა საცხოვრისია.

აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, სადაც ეს ნაგებობანი იქმნებოდა. დასავლეთ საქართველოს ბარსა და მთისწინეთში, სადაც კლიმატი უფრო სუბტროპიკულია, რბილია, ტენიანი, – საცხოვრისის ასაგებ მასალად ძირითადად ხის სხვადასხვა ჯიში გამოიყენებოდა. მთაში ხეს ქვითკირიც ენაცვლებოდა. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში კი, შედარებით მკაცრი კლიმატის პირობებში, ტრადიციულად ქვითკირის განიერკედლებიან სახლებს აშენებდნენ.

საცხოვრისის გარემოზე დიდი გავლენა აქვს სამეურნეო-ეკონომიკურ მიმართულებას და საქმიანობის ნირს.

ფაცხა – წნული სახლი

მშენებლობის უძველეს ტრადიციებზე საქართველოში არქეოლოგიური მონაცემებიც მეტყველებენ. გათხრების შედეგად მოპოვებული მასალით, უკვე პალეოლითში, ანუ ძველი ქვის ხანაში, ზემო იმერეთის ტერიტორიაზე, საგვარჯილეში დაფიქსირებულია წრიული ფორმის ნაგებობა, ბოძებისთვის განკუთვნილი ღრმულებით. ნაგებობა, სავარაუდოდ, მოწნული იყო. ასეთი, ფაცხის ტიპის უმარტივესი საცხოვრებლები ანუ წნული სახლები გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და აფხაზეთ-სამეგრელოში, სადაც ბოლო დრომდე შემორჩა მარტივი ტიპის სამეურნეო სათავსის ან საქორწინო ფაცხის, ამხარას სახით.

ჯარგვალი – ძელური სახლი

წნული სახლების შემდგომი განვითარების ეტაპზე ხის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებიდან აღსანიშნავია ხის მორებისგან შექმნილი ძელური სახლები, ანუ ჯარგვალის ტიპის საცხოვრისი. იგი XX საუკუნის შუა ხანებამდე ჯერ კიდევ ალაგ-ალაგ საცხოვრისად გამოიყენებოდა ტყით მდიდარ მთიან ქართლში, იმერეთში, სამეგრელოში და სხვ.

საჯალაბო სახლი – ერთსივრციანი ფიცრის სახლი

ხის საცხოვრებლის შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა ე.წ. საჯალაბო სახლი (სხვადასხვა ვარიაციით, კუთხეების მიხედვით: კათხა სახლი, ანუ ჯიხურა – ზემო იმერეთში; შუა სახლი – რაჭაში, პაკუტა – ლეჩხუმში და სხვ.), რომელიც იმავე წაბლის, მუხის და სხვა ხის მასალისგან იყო აგებული, ოღონდ გამოთლილი ფიცრებით. საჯალაბო სახლი, რომელიც ბევრგან XX საუკუნის დასაწყისამდე არსებობდა, შემდგომშიც კარ-მიდამოს შემადგენელი ნაწილი იყო. ოღონდ უკვე ფუნქცია შეიცვალა და სამზად სახლად, ანუ სამზარეულოდ გადაიქცა. ეს იყო ერთსივრციანი საცხოვრებელი, – ხშირად უფანჯრო და მიწა ან თიხატკეპნილი იატაკით, ანუ სოხანეთი.

ოდასახლი – მრავალსივრციანი სახლი ხიმინჯებზე

ხალხური, ხის საცხოვრებელი კიდევ უფრო განვითარდა, დაიხვეწა ახალ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით და XIX საუკუნიდან დასავლეთ საქართველოს ბარში ე.წ. კოლხური ოდის სახით წარმოგვიდგა.

ოდაში საცხოვრებელი სივრცე უკვე სეგმენტირებულია, შედგება სამი ან ოთხი ოთახისგან. ოდას აქვს მისაღები ოთახი, საძინებელი, სტუმრის საძინებელი, საკუჭნაო-სამზარეულო. ოდასახლი, როგორც წესი, შემდგარია ხიმინჯებზე, ანუ ბოკონებზე — დაახლოებით ერთ მეტრამდე სიმაღლის ქვის, ხის, ქვითკირით (ზოგჯერ აგურისგან) ამოყვანილ სვეტებზე. დასავლეთ საქართველოს ნესტიანი კლიმატიდან გამომდინარე, აერაციისთვის ეს აუცილებელი იყო.

ოდასახლის დაგეგმარების თავისებურებას წარმოადგენდა ბუხრების განლაგება.

პალატიანი სახლი – ქვიტკირის ქვედასართულიანი ხის სახლი

ხალხური ხის საცხოვრებლის განვითარების ბოლო ეტაპი იყო ფიცრებისგან აგებული ოდასახლი, რომელიც ქვითკირის პირველ სართულზე, ანუ პალატზე იდგა.

დარბაზული საცხოვრებელი – ერდოგვირგვინიანი, დედაბოძიანი სახლი

ეს არის ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების უნიკალურ ნაგებობათა ნიმუში.

დარბაზი შედგება გვირგვინიანი გადახურვის მქონე საცხოვრებლისგან. გადახურვის კონსტრუქცია ეყრდნობა ერთ ან რამდენიმე დედაბოძს. ერდო სახლის შუაგულშია, კერის თავზე, საიდანაც ჩამოდის მზის სინათლე და გადის კვამლი.



დედაბოძი

გამორჩეული დატვირთვა ჰქონდა დედაბოძს, რომლის გათლა-გამოყვანას, ფორმასა და ორნამენტების მრავალფეროვნებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

რაც შეეხება დედაბოძის კონსტრუქციას, მასზე დაყრდნობილია ბულაური (ხის ბალიში), თავხე და შენობის სახურავი. ამიტომაცაა, რომ მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი განასახიერებს ცისა და მიწის კავშირს, სამყაროს ღერძს.

აჭარული სახლი

საინტერესოა ტიპოლოგიური და ფუნქციური თვალსაზრისით აჭარული სახლი, რომელიც აგრეთვე ჯარგვალური სახლის ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა და საქართველოს სხვა კუთხის სახლებისგან გამოირჩევა მასშტაბებით, ოთახების რაოდენობით, ესთეტიკისა და თვით საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურითაც კი.

ლაზური სახლი

აჭარული სახლისგან გარეგნულად განსხვავებულია ლაზური სახლი, რომელიც კიდევ უფრო მეტი ესთეტიკური დატვირთვით გამოირჩევა. ფუნქციურად კი მასთან ახლოს დგას.

შავშეთ-იმერხევის სახლი

იგი გამორჩეულია რამდენიმე კონსტრუქციული ელემენტით, კერძოდ, აივნის ორიგინალური გაფორმებით.

საკულტო ნაგებობა

ხის მასალისგან, გარდა საცხოვრებლებისა, დასავლეთ საქართველოში, ზოგჯერ საკულტო დანიშნულების (ეკლესიები, ჯამეები) და სამეურნეო ნაგებობებიც შენდებოდა (ნალია, ბეღელი).



სამეურნეო ნაგებობა

ნალიის აგებისას, ძელების ან ფიცრების გარდა, წნულიც გამოიყენებოდა. ხშირად წნელებისგან იწვნებოდა ღობეებიც. წნელისგანვე მზადდებოდა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ინვენტარი: კალათები, გოდრები, გიდელები და სხვ. საუკეთესო იყო შქერის (როდოდენდრონი), წყავის, თხილის, მანეულის, შინდისა და სხვა დრეკადი თვისებების მქონე ბუჩქნართა რტოები.








საძირკვლის მოწყობა

ჯარგვალური და ფიცრისგან შეკრული სახლები ეყრდნობოდა მუხის ძელებისგან შეკრულ საძირკველს, საკუთრივ საძირკველი კი ოთხივე კუთხესა და შუაში შემდგარ, მიწაზე მორგებულ, ბრტყლად გათლილ დიდ ქვებს.

ოდასახლის შემთხვევაში, საძირკველი გათლილი მორებით უნდა გასკვნილიყო (გასკვნა საძირკვლის შეკვრას, საძირკვლის ფიცრებით გაწყობასა და საბოლოო სახის მიცემას ეწოდებოდა).

ხის კედლები ყველა მხრიდან ეყრდნობოდა დირეებით შექმნილ სარტყელს, რომელიც კუთხეებში იდო ქვებზე, რათა არ დაზიანებულიყო. ოდასახლის შემთხვევაში, მთელი კონსტრუქცია იდგა ქვის ბურჯებზე, ანუ ბოკონებზე. ამიტომ ოდასახლებს ბოკონიან სახლებსაც უწოდებდნენ.

შესახსრება

საძირკვლის ძელები უნდა ყოფილიყო 20X25 სმ. სასურველი იყო, მთლიანი მასალა გამოეყენებინათ. თუ ასეთი არ არსებობდა, საჭირო იყო გადაბმა, რაც ხდებოდა ძელების შესასხრებით. სახსრის გამაგრება ხდებოდა ხის კოტით (ე.წ. შიპით).





ძელების გადაბმის ხერხები

შემდეგ, საძირკვლის ძელები ეყრდნობოდა ბოკონებს (ქვის ან ხის), რომელსაც ჰქონდა შვერილი კბილი“



ბოკონი საძირკვლის ძელით

საძირკვლის ოთხი მხარე რომ შეიკვრებოდა, ერთი კუთხიდან მეორემდე დიაგონალზე ჭიმავდნენ თოკს. მანძილს ზომავდნენ და მის ზომებს შემდეგი ორი კუთხის ზომებთან ადარებდნენ.

ყურე ანუ ქილიქი

საძირკვლის ფიცრების ერთმანეთში ჩამაგრების ადგილს, კუთხეს, ყურე ეწოდებოდა.

ძელები ან ფიცრები ერთმანეთს კუთხეში უერთდებოდა და მორიგეობით ეჭდობოდა ისე, რომ ჰორიზონტალური კონსტრუქცია ცდებოდა კუთხის შეერთებას 20-30 სანტიმეტრით. წარმოიქმნებოდა ე. წ. ყურეები.



ქილიკი

საჯალაბო და პალატიანი სახლისთვის საჭირო იყო საძირკვლის გათხრა და ბალავრის ჩასხმა. ჯერ იჭრებოდა საშუალოდ, 1 მეტრზე მიწა და ისხმებოდა ქვითკირი. მის გაშრობას, დაახლოებით, 40-50 დღე სჭირდებოდა, რის შემდეგაც იწყებოდა ქვის კედლის ამოყვანა, — 50-60 სანტიმეტრიანი პალატიანი სახლისთვის, ხოლო საჯალაბო საცხოვრებელს 20-25 სანტიმეტრიანი ქვის წყობა ჰყოფნიდა.

კედლების ამოყვანა

ზოგადად, საქართველოში ხის სახლების აგებისას კედლების ამოყვანის ორი ხერხი არსებობდა:

ა) ერთი იყო ძელების, ფიცრების ვერტიკალური განლაგება (ერთიმეორის გვერდით), რომელიც ვერ დამკვიდრდა.



ბ) ჰორიზონტალური განლაგების ხერხი (ერთიმეორეზე). კედლის აგების ამ ხერხის მიხედვით ძელები ან ფიცრები ერთმანეთზეა დადებული. ძელები ჩვეულებრივ 15-35 სმ სისქისაა. კედლის აგების დროს ხშირად ხურო ძელებს ისე ამუშავებდა, რომ გარეთა მხარეს ძელს სამკუთხა ან ტრაპეციულ პროფილს აძლევდა. საუკუნეთა განმავლობაში დახვეწილი გამოცდილების შედეგად, ოსტატები ასეთი ფორმის საშუალებით წვიმის წყალს აცილებდნენ ძელების გადაბმის ადგილს.

ძელური სახლის კედლის სიგრძე მერყეობდა 6-14 მეტრამდე. თუ საჭირო იყო უფრო გრძელი კედელი, მაშინ ძელების გადაბმა ხდებოდა აფრის ან ბოყვის საშუალებით.

აფრა (ბოყვი)

ეს არის ვერტიკალურად მდგომი ხის კონსტრუქციული დეტალი, რომელსაც ორივე მხრიდან ამოღებული ჰქონდა ბუდეები, ანუ ნარიმანდები, რომელშიც ჯდებოდა ძელები ან ფიცრები.





აფრა ინტენსიურად გამოიყენებოდა კედლის ფიცრებით აგების შემთხვევაში. ერთი შეხედვით, ამ უბრალო ელემენტში ჩადებულია მოხერხებული კონსტრუქციული იდეა. მისი საშუალებით შესაძლებელია არეგულირო ორივე მხრიდან ჩალაგებული ძელების სიმაღლე. აფრას აქვს მზიდი კონსტრუქციის დანიშნულებაც, რადგან იგი თავის თავზე იღებს სახურავის დატვირთვას და გადასცემს მას საძირკვლის ძელებს. აფრა ანიჭებს შენობას სეისმურ მედეგობას.

ჰორიზონტალური ფიცრები ან ძელები მრგვლად ამოჭრილი ღარების საშუალებით ერთმანეთში ჯდებოდა.

ასაგები მასალების დეტალები სათითაოდ ინომრებოდა, რაც აიოლებდა კონსტრუქციის სწრაფად აგებას.

სახურავის მოწყობა

აგებულ კედელს ზედა მხრიდან უკეთდებოდა სარტყელი, ხოლო აივნის მხარეს – ბოძები, რომლებიც სახლთან ერთად ერთი სარტყელის ქვეშ უნდა მოქცეულიყო. სარტყელის ზედა მხარეს კეთდებოდა მანდალიონი. ეს იყო კედლის დონიდან გარეთ გადმოწეული დეტალი, რომელსაც დეკორატიულთან ერთად, საყრდენის ფუნქციაც ჰქონდა.

სახურავის ფორმა აუცილებლად კვადრატული უნდა ყოფილიყო სახლის საერთო ფორმისგან განსხვავებით, რომელიც მართკუთხედს წარმოადგენდა. კვადრატული ფორმის მისაღებად გამოითვლებოდა ცენტრი და სახურავზე მაგრდებოდა ხის დეტალი, ანუ ვაცა, რომელიც ავსებდა გრძელი მხარის სხვაობას.

სახურავის დახრილობას განსაზღვრავდა გადასახური მასალის ტიპი. კრამიტს შედარებით ნაკლები დახრილობა სჭირდებოდა, ყავარს კი – მეტი. ამის შემდგომ მაგრდებოდა ნივნივები (კაკუტები).

იმ ადგილს, სადაც ნივნივები ერთდება, ყბა ეწოდება. განაპირა ნივნივებს, რომელიც ფაქტობრივად ფრონტონის შემკვრელს წარმოადგენს, სანაპირო მარწუხებს უწოდებენ.

გადახურვაში მნიშვნელოვან კონსტრუქციულ ელემენტს წარმოადგენს ზედა განივი ძელი, რომელიც ფაქტობრივად სახურავის ხერხემალია. თითოეული ნივნივის ზედა განივი ძელის პარალელურად განლაგებულია ლატნები.



სახურავის მასალები.

ყავარი

გადახურვის მასალიდან ყველაზე ფართოდ ყავარი იყო გავრცელებული.

ყავარი არის თხლად დაპობილი ხის ფირფიტა კონუსური პროფილით.

ყავრის სიგრძე დაახლოებით 1,2 მეტრიდან 1,5 მეტრია, ხოლო სიგანე 1-1,5 , სისქე კი 0,8 -1,5 მეტრი.

მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის არ არის დახერხილი და არც გათლილი, შესაბამისად, წვიმის წყალი ადვილად მოედინება მის ზედაპირზე არსებულ ბუნებრივ ღარებზე. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ყავრის დახეთქვის შედეგად ბოჭკო არ ზიანდება და არ იჟღინთება წყლით. იგი საკმაო გამძლეობით გამოირჩეოდა. მისი მსახურების ვადა ოც წელიწადს აღწევდა. თანაც, ადვილი იყო მისი ცალკეული დაზიანებული ერთეულის გამოცვლა.

ყავარით გადახურვის ხერხი

ყავრით გადახურვის (დალაგების) ორი ხერხი არსებობდა: ე.წ. სამეული წყობა და ხუთეული წყობა.

ხუთეული წყობა სამეული წყობა

ყავრის დახურვა ლურსმნის გამოყენების გარეშე ხდებოდა. ლურსმნის ნაცვლად ჰორიზონტალურად გაშლილი მძიმე ზონის რიყის ქვები იყო განფენილი.

გასული საუკუნიდან ყავრით გადახურვისას ლურსმნის გამოიყენება დაიწყეს.

ყავრის გამოხდა (დამზადება)

ყავრის გამოხდა უმეტესწილად შემოდგომით ხდებოდა. იგი უმეტესად წიწვოვანი ხისგან (ძირითადად, ნაძვისგან) მზადდებოდა. ნაძვისგან გამოხდილი ყავარი არ იგრიხება და გამძლეა. საყავრე ხე სწორი, ტოტების გარეშე უნდა ყოფილიყო. უნდა შერჩეულიყო ხე, დიამეტრით 60-70 სმ-მდე, რომლის ტანი დაგრეხილი იქნებოდა საათის ისრის საწინააღმდეგოდ. მოჭრილ ხეს გააცლიდნენ ქერქს და დაჭრიდნენ 1,5 მ სიგრძის კოტრებად. კოტრებს დახეთქავდნენ ოთხ ნაწილად, დახეთქილ ნაოთხალს ამოაცლიდნენ გულს და დაიწყებდნენ დაფურცელას, ანუ ყავრის გამოხდას.





დაოთხვა

ყავრის
გამოხდა

ნაოთხალს ცულით უკეთდება პირი, სადაც ჩადებდნენ საყავრე დანას (დაშნას), დასცხებდნენ ხის ჩაქუჩს და დახეთქავდნენ თხელ ფირფიტებად, რასაც ყავარი ჰქვია.

კრამიტი

ორი ძირითადი სახის კრამიტი გამოიყენებოდა – ბრტყელი და ღარიანი, ანუ ქართული კრამიტი.

ისლი

საბურვლის ერთ-ერთ მასალას წარმოადგენდა ჭაობის მცენარე ისლი. ისლი კონებად იკვრებოდა, რომელთა დიამეტრი 50 სმ, ხოლო სიგრძე 1,5 მ უნდა ყოფილიყო. ისლის კონები ლურსმნის გარეშე, ხის წკნელებით მაგრდებოდა.

ხის მხატვრული დამუშავება

ხალხური გამოყენებითი ხელოვნება გამოხატულია აივნებისა და სვეტების გაფორმებაში, ინტერიერის ელემენტებში. ხეზე კვეთის ფორმები სილამაზეს მატებს სახლების ფასადებსა და ინტერიერებს, ყოფით ნივთებს, – ჩაშენებულ ავეჯსა და განჯინებს, სკამ-სავარძლებს, სკივრებს, დეკორატიულ ყუთებს, სამარილეებს და სხვ.

ორნამენტი

ხეზე კვეთილ ორნამენტს საცხოვრებელ სახლებში გარდა ესთეტიკურისა, რიტუალური დანიშნულებაც ჰქონდა. ასე მაგალითად, საყოველთაოდ გავრცელებული სიცოცხლის ხის მოტივი, რომელიც ბუნების აღორძინებასთან, სამყაროს მუდმივ მოძრაობასთან ან მიცვალებულის კულტთან იყო დაკავშირებული. ფართოდ იყო გავრცელებული წყვილი ცხოველის, ხშირად ლომების გამოსახულება, მნათობთა სიმბოლოები, ჯვრები, სხივანა წრეები და ნახევარწრეები.

აივანი

ქართული საცხოვრებელი სახლის ორგანულ ელემენტს აივანი წარმოადგენს. აივნების არქიტექტურაში მთავარი ელემენტებია: ორნამენტირებული სვეტები და ჭვირული ფარდები. საინტერესოა მოაჯირების გაფორმებაც. მოაჯირები გვხვდება რამდენიმე სახის – ბალიასინების (რიკული), ფიცრული და ძელური.

ბალიასინები პლასტიკურად დამუშავებული რიკულებია, რომელთა ეფექტს ოსტატურად შესრულებული პროფილირება იძლევა. გვხვდება აჟურული, ჭვირული მოაჯირი, ამოჭრილი მრავალფეროვანი ორნამენტით. უბრალო წრეებიდან დაწყებული, ვარდულებით, გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტებით დამთავრებული (სტილიზებული ყვავილოვანი სახეები, ზღაპრული ფრინველები, ცხოველები, საყოფაცხოვრებო ნივთების გამოსახულებითაც კი).

რაც შეეხება აივანთა სვეტებს, იმერეთში, სამეგრელოში, აჭარაში, აფხაზეთში, გამორჩეულნი არიან თავისი გაფორმებით.



სამუზეუმო რესტავრაცია-კონსერვაცია

გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ დაცულ მოძრავ თუ უძრავ ძეგლებში უხვადაა წარმოდგენილი ხის მასალა. მუზეუმში დაცულია მრავალი ტიპის ძეგლი: შენობები, სამეურნეო და სამიწათმოქმედო ინსტრუმენტები, ავეჯი და საყოფაცხოვრებო ნივთები. აგრეთვე, საინტერესოა მუზეუმში დაცული სადურგლო იარაღის კოლექცია, რაც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ხითხუროობის ტრადიციული ხერხები.

ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც განთავსებულია ღია ცის ქვეშ, დამთვალიერებელს აძლევს არაჩვეულებრივ საშუალებას, მაქსიმალურად ბუნებრივად აღიქვას უძრავი ძეგლი.

კონსერვაციის სირთულეები

ყველა ღია ცის ქვეშ მუზეუმს გააჩნია სირთულეები კონსერვაციის თვალსაზრისით. მაგალითად, ძეგლს პრაქტიკულად ვერ შევუქმნით ხელოვნურ კლიმატურ პირობებს. ძნელია დავიცვათ შენობის შიგნით ფარდობითი ტენიანობა, მავნებელს ადვილად შეუძლია შეაღწიოს შიგნით და ა.შ.

დამაზიანებელი ფაქტორები

ძეგლს, რომელიც განთავსებულია ბუნებაში, ემუქრება შემდეგი საფრთხეები:

- ბუნებრივი და კლიმატური ფაქტორები;
- მავნებლების შემოტევა;
- ვანდალიზმი;
- ხანძარი;
- ტემპერატურის მერყეობა;
- მექანიკური დაზიანება.

პრევენციული კონსერვაცია

არსებობს მრავალი ხერხი პრევენციული კონსერვაციის განსახორციელებლად. მაგალითად: უნდა გამოირიცხოს შენობაში წყლის შეღწევა. სახურავი უნდა ფუნქციონირებდეს სათანადოდ და ნიადაგიდან წამოსული ნესტი შეჩერდეს დრენაჟის საშუალებით. მუდმივად ხორციელდებოდეს ინტეგრირებული პესტმენეჯმენტი. საჭიროა გამართულად ფუნქციონირებდეს სახანძრო სისტემა და სხვ.

ინტერვენციული კონსერვაცია

იმ შემთხვევაში, თუ ძეგლი უკვე დაზიანდა, საჭიროა ინტერვენციული კონსერვაცია.

ღია ცის ქვეშ მუზეუმების რესტავრაციის პრაქტიკას ერთი პრინციპული თავისებურება გააჩნია: ჩამატებული დეტალი შერწყმული უნდა იყოს მთლიანი ძეგლის ავთენტურ სახესთან ისე, რომ არ დაიკარგოს ძეგლის ეთნოგრაფიული ელფერი.

რესტავრაციის დროს, პირველ რიგში, საჭიროა შეფასდეს რისკი და დაზიანების ხარისხი.

ხის ძეგლებში ხშირად ორი ტიპის დაზიანება იჩენს თავს: ბიოდაზიანება და მექანიკური დეფორმაცია.

ბიოდაზიანების შეფასება

ამ შემთხვევაში, შეიძლება დაიყოს ბიოდაზიანების ხარისხი რამდენიმე კატეგორიად, მაგალითად:

1. ძეგლის ხის დეტალი განიცდის მწერებისა და სოკოვანი ბაქტერიების შეტევას, მაგრამ მისი სტრუქტურა მყარია.
2. მერქანზე მოჩანს ლაქები და ფიზიკური დაზიანება, მაგრამ ხის შიდა სტრუქტურა მყარია.
3. მერქანი სტრუქტურულად დაზიანებულია.
4. ხის დეტალი სრულიად დაზიანებულია და საფრთხეს უქმნის ძეგლის სხვა ნაწილებს.

ხშირად ხის ბიოლოგიური ფაქტორებით გამოწვეული დაზიანება გარეგნულად შეუმჩნეველია, ამ შემთხვევაში მისი აღმოჩენა შეგვიძლია ზედაპირზე დაკაკუნებით. დაკაკუნებისას შიგნიდან გამომპალი ხის ხმა აუცილებლად განსხვავდება ჯანმრთელისაგან. პირიქით, თუ

ზედაპირი იშლება, მაგრამ არ ვიცით რამდენად ღრმადაა დაზიანება, შეგვიძლია ვიხმაროთ გრძელი სადგისი.

საჭიროა ავიღოთ ანალიზი სოკოვან ბაქტერიებზე. ხშირად სოკოსგან დაზიანებული ხის ზედაპირზე მოჩანს ბზარები, ლაქები და ობი.

თუ ხის ზედაპირზე ჭიის ნახვრეტებს შიდა მხრიდან უფრო ღია ფერი აქვს, ვიდრე ხის ზედაპირს, ეს ნიშნავს, რომ ნახვრავი ახალია. იმ შემთხვევაში კი, თუ ნახვრეტის შიდა მხარე იმავე ფერისაა, რაც ხის ზედაპირი, ნახვრეტი ძველია. აგრეთვე, თუ ნახვრეტებიდან იყრება ნაფქვავი, სავარაუდოა, რომ ჭია აქტიურია.

მექანიკური დაზიანების შეფასება

ხე მუდმივად რეაგირებს ჰაერის ფარდობით ტენიანობაზე. იგი დეფორმირებს ტენის მიღების ან გაცემის შემთხვევაში. დეფორმაცია იწვევს ბზარებისა და ღრიჭოების წარმოქმნას. შესაბამისად, შენობა ირყევა. ამ შემთხვევაში საჭიროა შეფასდეს, რამდენად ფუნქციონირებს შენობის კონსტრუქცია, აკლია თუ არა ძეგლს რაიმე დეტალი.

რესტავრაციის ეტაპები

ძეგლის დაზიანების ხარისხის შეფასების შემდგომ, საჭიროა:

1. შედგეს დაცულობის აქტი, სადაც ზუსტად იქნება აღწერილი არსებული ვითარება. დაცულობის აქტს თან უნდა დაერთოს ფოტომასალა. შეისწავლოს ძეგლის ისტორია და წინასაკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები;
2. დაიხაზოს ძეგლის სქემა და მოინიშნოს დაზიანებული ნაწილები;
3. თუ სარესტავრაციო ნაწილზე არსებობს საღებავი, დავადგინოთ პირვანდელი ფერი და გამოვიკვლიოთ საღებავის ფენები;
4. შევარჩიოთ მასალა ხის ჯიშის მიხედვით. შესაძლოა, მასა-



ლა თავდაპირველად დამუშავებული იყოს თანამედროვე ტექნიკით, მაგრამ უშუალოდ ჩასამატებელი დეტალის ზედაპირი უნდა დამუშავდეს ტრადიციული ინსტრუმენტებით;

5. ძეგლი აღდგეს ტრადიციული მეთოდების გამოყენებით. შეისწავლოს ავთენტური ხელოსნობა და შემონახული ცოცხალი ეთნოგრაფიული პრაქტიკა. მოხდეს დაზიანებული და გამოუსადეგარი ნაწილების მოშორება და ახალი ნაჭრის ან დეტალის ჩამატება.



ისტორიული სახლის ხის დეტალის
რეკონსტრუქცია ძველ თბილისში

6. თუ ხე არ ილებება, არ შეიძლება ჩამატებული დეტალის ხელოვნური ტონირება. მერქანმა თავისით უნდა მიიღოს ბუნებრივი ტონალობა და გაუთანაბრდეს ძეგლის ავთენტურ ნაწილს.
7. თუ ხის მლრნელი ჭია ღრმადაა გამჯდარი ხეში და აზიანებს ძეგლს, არსებობს ხის დამუშავების ქიმიური მეთოდები (თუმცა ეკოლოგიური თვალსაზრისით ქიმიური საშუალება უნდა გამოვიყენოთ უკიდურეს შემთხვევაში).

ნორვეგიის ქალაქ ბერგენში ისტორიული უბნის რესტავრაცია. დაზიანებული ხის დეტალების ჩანაცვლება ახალი მასალით.

დაზიანებული საყრდენი ბოძის პროტეზირება

გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ლია ცის ქვეშ

დარბაზული სახლი სოფელ ჭაჭკარიდან

საჯალაბო სახლის სრული რესტავრაცია

გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ

საჯალაბო სახლი სოფელ ახალი ხიბულადან

სახურავის მოწყობა

რესტავრირებული საჯალაბო სახლი

გამოყენებული ლიტერატურა

გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი, ლ. შალვაშვილი, ტრადიციული დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი საქართველოში. თბილისი, 2002;

მ. გარაყანიძე, „ქართული ხის ხუროთმოძღვრება". თბილისი,1959 (რუს. ენაზე).

გ. გასიტაშვილი, „ხის დამუშავების ხალხური წესები". თბილისი, 1962.

რ. გუჯეჯიანი, ნ. შოშიტაშვილი, „ჯამე ეთნოგრაფილ მუზეუმში", ჟურნ. „ფიროსმანი", 2010 .

ნ. მგელაძე, ნ. შოშიტაშვილი, ჯ. მიქელაძე, თ. ტუნაძე, „ლაზი ხელოსნების სამშენებლო ტრადიციები ჭოროხ-აჭარისწყლის ხეობებში". ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა, 2005. გურამ კარტოზია-75, თბილისი, 2009.

ნ. რეხვიაშვილი, „ქართული მეტალურგიის ისტორიიდან", I, მჭედლობა რაჭაში, თბილისი, 1953.

ნ. რეხვიაშვილი, „რკინის სამეურნეო იარაღები აფხაზეთიდან", აკად. ს. ჯანაშიას სახელმწ. მუზეუმის მოამბე XIX-B, 1957.

ნ რეხვიაშვილი, „ქართული ცული", საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XV.

ა. რობაქიძე, „ქართულ ხალხურ ტრადიციულ ნაგებობათა კლასიფიკაციის პრინციპები", თბილისი, 1987.

გ. ჩიტაია, „სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში". ტ. 2, თბილისი, 2000.

გ. ჩიტაია, „გლეხის სახლი ქვაბლიანში", მიმომხილველი, ტომი I, თბილისი,1926.

თ. ჩიქოვანი, „ქართული ხალხური საცხოვრებელი", თბილისი, 1969.

გ. ჩუბინაშვილი, „ქართული დარბაზები", 1. დარბაზი დილომში, თბილისი, 1927.

გ. ჩუბინაშვილი, „ქართული დარბაზები", 4, დარბაზი წილკანში და მცხეთაში, თბილისი, 1927.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
№ 2967 2015 წ.
ეგზემპლარი



საქართველოს ეროვნული მუზეუმი

გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ

2015

info@museum.ge; www.museum.ge
www.facebook.com/GNMusuem